

მერაბ ჭუმბურიძე

ქრისტიანობის ისტორიისათვის
დასავლეთ საქართველოში



ქუთაისი
2010

მერაბ ჭუმბურიძე

ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში

ქუთაისი
2 0 1 0



წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-არქეოლოგიურ გამოკვლევას, რომელშიც ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მონაცემების და ისტორიოგრაფიული მასალების საფუძველზე განხილული და გაანალიზებულია: დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების; ეგრისის საეკლესიო ცენტრების იდენტიფიკაციის და ლოკალიზაციის; ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული ქალაქის - ქუთაისის, ადრექრისტიანული ხანის დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ცენტრად ჩამოყალიბების საკითხები.

წიგნი განკუთვნილია ისტორიის და არქეოლოგიის სპეციალისტების ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების და საქართველოს ისტორიით (მათ შორის ქართული ეკლესიის ისტორიით) დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

11 272-953

რედაქტორი: ომარ ლანჩავა, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი: მათე ხვედელიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

© ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი „ლამპარის“ გამომცემლობა

ISBN 978-9941-9102-7-2

საქართველო ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერაა და იმის გასარკვევად, თუ როდის ჩაეყარა მას საფუძვლები, დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების თარიღთა დადგენას. რაც თავისთავად დაგვეხმარება გავარკვიოთ, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქრისტიანობის შემოსვლა, გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

ქართლში ქრისტიანობის შემოსვლისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხი სადღეისოდ ძირითადად გარკვეულია და დადგენილია, რომ ეს მოხდა IV საუკუნის 20-იან წლებში. დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით კი ვითარება სხვაგვარად იყო, რადგანაც წერილობითი წყაროების სიმცირისა და მათი ცნობების განსხვავებულობის გამო დიდი ხნის მანძილზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელების თარიღებზე.

ქართული წყაროების ეგრიზის და რომაულ-ბიზანტიური წყაროების ლაზიკის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელების და მისი სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების, ასევე საეკლესიო ცენტრების, ზოგადად ქრისტიანული კულტურისა და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხთა გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მოძიებულ მასალებს, რომელთა მეშვეობით გამოვლინდა: IV საუკუნიდან თანდათან გავრცელებული ქრისტიანული დაკრძალვის წესი (წებელდის სამაროვანი), ქრისტიანული ნიშნების მქონე სამარხეული ინვენტარი (ოქროს ჯვარი, ვერცხლის მედალიონი...) და ქრისტიანული წარწერები (ბიჭვინთის მოზაიკაზე). არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ არტეფაქტებს შორის გამოირჩევა საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები (ბიჭვინთის, ციხისძირის, ვაშნარის, გუდავას, ქუთაისის, ნოქალაქევისა და მისი ქვეყნის). მათი კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ IV საუკუნეში დასავლეთ



საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, აფხაზეთში და აჭარამდე და შავი ზღვის სანაპიროდან ქუთაისის რეგიონამდე, ქრისტიანობა მთლიანადაა გავრცელებული. აგრეთვე ივარაუდება ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაციების არსებობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი საკულტო ნაგებობანი. ისინი არა მარტო ადასტურებენ IV საუკუნიდან აღმოსავლეთ ეგრისში ქრისტიანობის გავრცელებას, არამედ ახალ მასალებს იძლევიან ქართული საეკლესიო არქიტექტურის წარმოქმნა-განვითარების შესახებ.

ქუთაისი ადრექრისტიანული ეპოქის ეგრის-ლაზეთის ერთ-ერთი უმთავრესი საქალაქო ცენტრი გახლდათ, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მის ტერიტორიაზე ნაპოვნმა ტაძრებმა და ეკლესიებმა გამოკვეთეს ამ ქალაქის კიდევ ერთი, ერის სულიერი ცხოვრების წარმმართველი რელიგიური ცენტრის ფუნქცია. სწორედ ამ საკითხის კვლევის მოკრძალებული მცდელობაა წარმოდგენილი მცირე ნაშრომი, რომელიც შეიქმნა ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კომპლექსური კვლევის საფუძველზე

წერილობითი წყაროები – გვიანანტიკური და ადრესაშუალო საუკუნეების ეგრის-ლაზიკის შესახებ ფრიად მცირე წერილობითი წყაროები შემოინახა თანამედროვე ეპოქამდე. მიუხედავად ამისა, ისინი უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევენ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების საკითხთა გარკვევის, საეკლესიო ცენტრების ლოკალიზაცია-იდენტიფიცირების და საკულტო არქიტექტურის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა და რეგიონისათვის ძირითადი ქართულენოვანი წერილობითი წყაროა "ქართლის ცხოვრება." სადაც ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობაა აღწერილი (ქართლის ცხოვრება, I, 1955).

"ქართლის ცხოვრებაში" ასევე შემონახულია ჯუანშერის თხზულება "ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" და "მატიანე ქართლისაი," რომლებშიც გვხვდება ცალკეული ფრაგმენტები V და VII-VIII საუკუნეების ეგრისის ისტორიის შესახებ. აქვეა საინტერესო ინფორმაციები დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და ტაძარ-ეკლესიებთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება, I, 1955), რომელთა სანდოობაც არქეოლოგიურმა კვლევებმა უცილობლად დაადგინა, კერძოდ "ქუთათისის საყდარი" და სხვა (ლანჩავა, 2007, გვ. 11).

ქართულ წერილობით წყაროთა შორის შეიძლება დავასახელოთ აგიოგრაფიული ძეგლებიც: იოანე საბანისძის "აბო თბილელის მარტვილობა" (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935), ანონიმი ავტორის "დავით და კონსტანტინეს მარტვილობა" (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946), რომლებშიც გვხვდება ცნობები ეგრისის ციხე-ქალაქებზე და ქრისტიანულ ცენტრებზე.

მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება რომაულ-ბიზანტიური წყაროებში. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ III-IV საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე ევსევი კესარიელი (260-340 წწ.), რომელსაც ეკუთვნის საინტერესო ნაშრომი "საეკლესიო



ისტორია", სადაც იგი საუბრობს მოციქულების წილხვედრების ქვეყნებზე (ევსევო კესარიელი, გეორგიკა, I, 1961).

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეთა დოროთეოს ტვირელის და ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში არის ცნობა ანდრია პირველწოდებულის სებასტოპოლისში მისვლის თაობაზე. ეს ცნობა შემონახულია X საუკუნის ქართულ ხელნაწერებში (ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954).

ანდრია პირველწოდებულის სებასტოპოლისში ქადაგების თაობაზე წერს IV საუკუნის ავტორი სოფრონი იერონიმეს თხზულებების დამატებაში (ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954).

V საუკუნის ბიზანტიელ ავტორ თეოდორიტე კვირელთან დაცულია ცნობა რომაელთა სამფლობელოს და პონტოს უკიდურეს საზღვარზე – პიტიუნტში იოანე ოქროპირის გადასახლებასთან დაკავშირებით (Theod., V, 34).

"საეკლესიო ანალებში" არის საუბარი კოლხთა მიერ სახარების მიღებაზე იმპერატორ ადრიანეს (98-117 წწ.) და პაპ წმინდა კლემენტის (88-97 წწ.) დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ამ მხარეში გადასახლებაში იყო (საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, 1984).

VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი თეოფანე ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ეგრისის მეფე წათე 523 წელს ჩავიდა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში და იქ მონათლა ქრისტიანულ რელიგიაზე (ყაუხჩიშვილი, 1941).

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ამბობს, რომ ღაზები ძველთაგანვე ქრისტიანები არიან. პრისკე პანიონელი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ მოხიბლა V საუკუნეში ღაზეთის მეფე გუბაზმა კონსტანტინეპოლში ბიზანტიელები საქრისტიანო ნიშნების ტარებით (ლომოური, 1968).

სანდო წყაროთა შორის შეიძლება დავასახელოთ: VII საუკუნის „პასქალური ქრონიკა“; ანასტასი აპოკრისიარის



წერილი (662 წ.) და თეოდოსი განგრელის „მოგონებები“ მაქსიმე აღმსარებლის შესახებ. მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება ასევე VIII საუკუნეში დაწერილ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის "ანდრიას ცხოვრება"-ში (ყაუხჩიშვილი 1941; ყაუხჩიშვილი 1952).

VII–IX საუკუნეების წყაროთა შორის ერთ-ერთ უპირველეს მნიშვნელობას იძენს ამ ეპოქით დათარიღებული ბიზანტიური საეკლესიო ნოტიციები (ეკსთესისები), რომლებშიც ჩამოთვლილია ეგრისის საეკლესიო ცენტრები (კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალი ეპარქიები). აღნიშნული წყაროები თარგმნა და ქართულ სამეცნიერო სივრცეში განავრცო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა.

არქეოლოგიური წყაროები – ეგრის–ლაზიკის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების საკითხების შესასწავლად წერილობითი წყაროების მონაცემთა სიმცირის გამო უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური კვლევებისას მოპოვებულ წყაროებს, რომელთა შორის არის როგორც ეპიგრაფიკული მასალები, ასევე სხვადასხვა სახის არტეფაქტები.

უპირველესად უნდა დავასახელოთ შემთხვევით და არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ეპიგრაფიკული ძეგლები, ისინი შესრულებულია სხვადასხვა მასალაზე (ლითონი, თიხა, ქვა). მათ შორის გამოირჩევა ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული ნივთები: ჯვრისგამოსახულებიანი კერამიკული ჭურჭელი და მინის სასმისები (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 250-251); IV საუკუნის ვერცხლის მედალიონი წარწერით (ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა); ოქროს პატარა ჯვარი (Трапш, 1961, გვ. 187); ქრისტიანული წარწერები (მათ შორის ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკაზე).

აღსანიშნავია ასევე სხვა არქეოლოგიური მონაცემები. მათ შორის მთელი რიგი მდიდრული სამარხები, რომლებშიც დაფიქსირებულია ქრისტიანული დაკრძალვის წესი ან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე ნივთები და ნაპოვნია



ისტორიული კოლხეთის სხვადასხვა ნაწილში: წებელდაციხის ციხისძირი და სხვა. ინტერესს იწვევს ციხისძირში ნაპოვნი გემშიანი ბეჭედი თევზის გამოსახულებით, ჯვრის გამოსახულება და მოზაიკის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით (უფალო შემეწიე) (ინაიშივილი, 1993, გვ. 114). ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა ნოქალაქეში მომუშავე ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2001 წელს, როდესაც ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, მისი საპარადო შესასვლელის მარჯვენა მხარეს, გამოავლინა ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით, რომელიც III-IV სს-ით დათარიღდა (ლომიტაშივილი, 2003, გვ. 196-198).

არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა მანამდე უცნობი, IV-V საუკუნეებში აგებული ტაძრები და ეკლესიები, რომლებიც ადრე ძირითადად ნაპოვნი იყო დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილში და ნოქალაქე-არქეოპოლის-ციხე-გოჯის მიდამოებში. შესაბამისად, ფიქრობდნენ, რომ ქრისტიანობა მხოლოდ ამ რეგიონებში იყო გავრცელებული. ამ ძეგლებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ბიჭვინთის, ნოქალაქევის და ციხისძირის ბაზილიკური ტაძრები (დიდი პიტიუნტი, 1977, გვ. 83-89; ინაიშივილი, 1974, გვ. 118-153; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 165-198). ეგრისში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღების განსაზღვრისათვის, ასევე ეგრისის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრებისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების სხვადასხვა საკითხთა შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქუთაისის არქეოლოგიურ გათხრებს, რომელიც დაიწყო 1984 წელს აკად. ოთ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით და სათავე დაუდო ქალაქისა და მისი რეგიონის ფართომასშტაბიან არქეოლოგიურ კვლევას. ქუთაისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა დღესაც გრძელდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური



ექსპედიციის მიერ, რომელსაც 1986 წლიდან ხელმძღვანელობს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ო. ლანჩავა (წევრები — რ. ისაკაძე, მ. ჭუმბურიძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. ქარციძე, შ. ბუაძე). სწორედ ამ ექსპედიციის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის სხვადასხვა არქიტექტურული სტილით ნაგები საეკლესიო ნაგებობანი და სხვა არტეფაქტები (IV საუკუნის ანტიფიქსი, რომლის ზედაპირზე ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული და ანტიფიქსი ქარაგმული წარწერით, რომელზეც იკითხება "გაბრიელი" და ზოგადად დათარიღებულია V-VII საუკუნეებით) (ლანჩავა, 2007, გვ. 8-10, 113, 151).

ისტორიოგრაფია — 1930 წელს ნოქალაქეში აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაწყებული არქეოლოგიური გათხრების შემდეგ ადრექრისტიანული ხანის ეგრის-ლაზიკის სამეფოს შესახებ მნიშვნელოვანი რაოდენობის სამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა, რომლებიც ეხება ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს, მათ შორის რელიგიას და კულტურას.

აღსანიშნავია ს. ყაუხჩიშვილის რამდენიმე ტომად გამოცემული "გეორგიკა," (ყაუხჩიშვილი, 1936, 1941, 1952, 1961, 1963, 1965), რომელშიც გაანალიზებულია რომაულ-ბიზანტიური წყაროები და გამოთქმულია საინტერესო შეხედულებები ეგრისში ქრისტიანობის გავრცელებისა და ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაციების არსებობის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს, მათ შორის ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად განმტკიცების პრობლემას იკვლევდა აკად. ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1960, 1979).

ეგრის-ლაზიკის საეკლესიო ცენტრებზე ფასდაუდებელი შეხედულებებია გამოთქმული აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ "საქართველოს ისტორიის საკითხების" სხვადასხვა ტომში (ბერძენიშვილი, 1964, 1965, 1966, 1975).

ეგრისის სამეფოს ისტორიის საკითხებს, მათ შორის ქრისტიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით განიხილავს თავის "შრომებში" აკად. ს. ჯანაშია (ჯანაშია, 1949, 1952, 1987).



დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ქრისტიანული კულტურის და საეკლესიო ისტორიის პრობლემებზე საინტერესო მოსაზრებები აქვს აკად. დ. მუსხელიშვილს (მუსხელიშვილი, 1977, 1980, 2004).

ეგრისში ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ, ასევე ეგრისის საეკლესიო ცენტრებზე უმნიშვნელოვანესი ინფორმაციებია აკად. ნ. ლომოურის მრავალრიცხოვან სტატიებსა და მონოგრაფიებში (ლომოური, 1968, 1973, 1989, 1998).

VII-VIII საუკუნეების ეგრისის ისტორიისა და მისი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრების საკითხებისადმი საყურადღებოა მოსაზრებები ეკუთვნის აკად. მ. ლორთქიფანიძეს (ლორთქიფანიძე, 1994, 1995).

დასავლურ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს სპეციალურად სწავლობდა აკად. პ. ზაქარაია, რომლის ნაშრომთა ნაწილი სწორედ დასავლეთ საქართველოს ქრისტიანულ არქიტექტურას ეძღვნება (ზაქარაია, ლექვინაძე, 1971, 1974; ზაქარაია, კაპანაძე, 1991), ეგრისის სამეფოს რელიგიური ცენტრის შესახებ საუბრობს დ. ლომიტაშვილიც (ლომიტაშვილი, 2003).

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე შესახებ უაღრესად საინტერესო მონოგრაფია შექმნა ვ. გოილაძემ. მასში მთელი თავი ეძღვნება ეგრისში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების, ასევე რელიგიური ცენტრებისა და საეკლესიო მოღვაწეების საკითხთა შესწავლას (გოილაძე, 1991).

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ისტორიას იკვლევს აგრეთვე ბ. დიასამიძე, რომელსაც რამოდენიმე გამოკვლევა აქვს უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული (დიასამიძე, 1999, 2000, 2001).

ასევე აღსანიშნავია ეპისკოპოს ა. ჯაფარიძის მიერ შექმნილი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", რომლის I წიგნში არის ყურადღასაღები დასკვნები საქართველოში ქრისტიანობის



გავრცელებისა და დამკვიდრების საკითხებთან დაკავშირებით (ჯაფარიძე, 1996).

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრებსა და საკულტო არქიტექტურის სხვადასხვა ნაგებობებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციები მოვიძიეთ ა. ინაიშივილის და ნ. ინაიშივილის (ციხისძირი) (ინაიშივილი, 1973; 1974; ინაიშივილი, 1993); ვ. სადრაძის და ნ. ჯაბუას (ვაშნარი) (სადრაძე, 2003; ჯაბუა, 2007); შ. ამირანაშვილის (ამირანაშვილი, 1970), ბ. კუდავას (კუდავა, 2002) და სხვა ავტორთა ნაშრომებში.

ქუთაისის საეკლესიო არქიტექტურაზე და ეგრისის რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრებზე მსჯელობისას ჩვენთვის ძირითად წყაროს წარმოადგენს ო. ლანჩავას მონოგრაფიები (ლანჩავა, 1996, 2007). აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენც გამოვაქვეყნეთ რამოდენიმე სტატია (ჭუმბურიძე 1999; 2005, 2006, 2008).

ქუთაის-გაენათის ეპარქიას მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა ვ. მჭედლიძემ. მასში განხილულია არა მარტო აღნიშნული ეპარქიის ისტორია, არამედ დასავლეთ საქართველოს ეპარქიების კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლის, აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის, ეგრისში ქართული სალიტერატურო ენის გავრცელების და სხვა საკითხები (მჭედლიძე, 2008).

ქრისტიანობის დამკვიდრების საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი ქართული პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნა, რომელსაც ქართული მატრიანები ეგრისს, ხოლო რომაულ-ბიზანტიური წყაროები ლაზიკას უწოდებენ.

სწორედ ეგრის – ლაზიკის სახელმწიფო მოგვევლინა ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მონათესავე ტომები



ლაზების ჰეგემონობით. ამ მნიშვნელოვან მოვლენას მიუთითებს VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ლიდე (Joann Lydus, De magister, III, 34, ყაუხჩიშვილი 1965, გვ. 236; ლომოური, 1968, გვ. 3).

უნდა აღინიშნოს, რომ ეგრის-ლაზეთის სამეფოს წარმოქმნა ხანგრძლივი პროცესია და იგი რამოდენიმე საუკუნე გაგრძელდა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 105). მას უკავშირებენ ეგრისელთა ანუ ძველი წყაროების „მეგრთა“ თაოსნობას, რომლებიც ეთნიკურად ლაზთაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ და უცხოელთა თვალში აქ არანაირ ცვლილებას აღვილი არ ჰქონდა. ამ ვითარებას ხსნიან იმ ფაქტით, რომ საკუთრივ ეგრისის ტერიტორია უმდიდრესი რაიონი იყო მთელს ლაზიკაში და სწორედ აქ მდებარეობდა ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი მისი ცენტრის ჩათვლით (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 89). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ II საუკუნეში მოხსენიებული სახელწოდება „ლაზები“ უფრო პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს და მასში იგულისხმებიან არა მხოლოდ საკუთრივ ლაზები, არამედ სხვა ტომებიც, რომლებზეც ვრცელდება მათი პოლიტიკური ძალაუფლება (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 85; ჯანაშია, 1959, გვ. 24).

საერთოდ დასავლეთ საქართველოს შესახებ წერილობით წყაროთა ცნობები ახ. წ. II-III საუკუნეებისათვის ფრიად მწირია და არ იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ მისი ჩამოყალიბება-განვითარების სრული სურათი. თუმცა მისი ცალკეული ფრაგმენტების აღდგენა როგორც წერილობითი წყაროების, ასევე არქეოლოგიური მასალების გამოყენებით სავსებით შესაძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, როგორცაა ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა, გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლის შესახებ არსებობს III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოელ ავტორთა (ევსევი კესარიელი, ეპიფანე კვიპრელი,



ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, თეოდორიტე კვირელი) ცნობები (ყაუხჩიშვილი, 1941, გვ. 57-59; ყაუხჩიშვილი, 1961, გვ. 29-30, 41-42, 209-213) და ლევენდა-გადმოცემები, რომლებიც აისახა "ქართლის ცხოვრებაში" ჩანართის სახით (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 36-43) და სადაც ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობაა აღწერილი. როგორც შენიშნავს ბ. დიასამიძე, ამ სახის ლიტერატურაში, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის პირველ გამავრცელებლებად ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა და სხვა პირველმოციქულები არიან დასახელებული, მაგრამ წერილობით წყაროებში დაცული მათი მოღვაწეობის ადგილთა სახელწოდებების შესახებ წინააღმდეგობრივი ხასიათის ცნობების გამო, ბევრი თვალსაჩინო მკვლევარი, თვლის რა შესაძლებლად ქრისტიანობის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ეჭვქვეშ აყენებს პირველმოციქულთა აქ მოღვაწეობას და შესაბამისად, არსებული წყაროების სანდოობას. თავად ბ. დიასამიძე, რომელიც მომოიხილავს რა წერილობით წყაროებსა და ქართულ ისტორიოგრაფიაში (თ. ბატონიშვილი, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ჯაფარიძე, ვ. გოილაძე და სხვები) არსებულ მოსაზრებებს, ახ. წ. I საუკუნის ბოლოდან დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და ქრისტეს პირველ მოციქულთა მისიონერულ მოღვაწეობას ეჭვიმიუტანლად მიიჩნევს (დიასამიძე, 1999, გვ. 20-31). გ. მჭედლიძეც აღნიშნავს, რომ საეჭვო არ არის ქრისტიანული თემების არსებობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის დროიდან (მჭედლიძე, 2008, გვ. 20).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის მანძილზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა არა მარტო დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის, არამედ მისი გავრცელების და სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების საკითხთან დაკავშირებით. ისტორიული წყაროების სიმცირის



და მათში დაცული ცნობების არასრულყოფილების მიხედვით, რომ ეს მოვლენა მოხდა VI საუკუნის 20-იან წლებში. ბიზანტიელი მწერალი თეოფანე ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ეგრისის მეფე წათე 523 წელს ჩავიდა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში და იქ მოინათლა ქრისტიანულ რელიგიაზე (ყაუხნიშვილი, 1941, გვ. 77-78). ამ ცნობის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ამ ამბის შემდეგ მოხდა სამეფო კარის გაქრისტიანება და ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ეს მოსაზრება გაიზიარეს აკადემიკოსებმა - ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯანაშიამ და ივ. ჯავახიშვილმა, თუმცა ეს უკანასკნელი არ გამორიცხავდა ეგრისში ქრისტიანობის ადრე გავრცელების შესაძლებლობას (ბერძენიშვილი და სხვ., 1958, გვ. 99; ჯანაშია, 1949, გვ. 220-235; ჯავახიშვილი, 1960, გვ. 230-231).

ქართველ ისტორიკოსთა მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ ქრისტიანობა ეგრისსა და იბერიაში ერთდროულად გავრცელდა და ეს IV საუკუნეში მოხდა. ამის დასადასტურებლად იყენებდნენ ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს დასწრების ფაქტს (გორგაძე, 1911-13, გვ. 47-78; ყაუხნიშვილი, 1948, გვ. 42; ყაუხნიშვილი, 1941, გვ. 6-10). ეს ვარაუდი გაიზიარა აკადემიკოსმა ნ. ლომოურმა, რომელმაც ბიზანტიელი ავტორის, იოანე მალალას "ქრონოგრაფის" ცნობაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მეფე წათე ადრე ქრისტიანი იყო, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური მოსაზრებით მიიღო სპარსელთა სარწმუნოება. მოგვიანებით მან ისევ პოლიტიკური მოსაზრებით ამჯობინა ქრისტიანობას დაბრუნებოდა და ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინემ აკურთხა ლაზეთის (ეგრისის) მეფედ. ნ. ლომოური აგრეთვე იმოწმებს ბიზანტიელ ისტორიკოს პროკოპი კესარიელს, რომელიც ამბობს, რომ ლაზები ძველთაგანვე ქრისტიანები არიან და მეორე ისტორიკოსის პრისკე პანიონელის ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ მოხიბლა V საუკუნეში ლაზეთის მეფე გუბაზმა კონსტანტინეპოლში ბიზანტიელები საქრისტიანო ნიშნების ტარებით (ლომოური, 1968, გვ. 115).



გ. გოილაძე ფიქრობს, რომ ქართლის სამეფო კანონმდებლობა 318 წელს აღიარა და ქართლის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსის ხელდასხმა, რომელიც ქართლის ეკლესიის ოფიციალურ აღიარებას ნიშნავდა, ნიკეას კრების წინ შედგა. რადგანაც ბიზანტიელი ავტორები ეგრისისა და ქართლის მოქცევას ერთდროულ მოვლენად მიიჩნევენ, ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც ნიკეის მსოფლიო ქრისტიანული კრების ხანაშია სავარაუდებელი (გოილაძე, 1991, გვ. 11-20).

როგორც აღინიშნა, ქრისტიანობის გამარჯვება ეგრისში 325 წლის წინა ხანებშია საძიებელი, რასაც მოწმობს ნიკეის კრებაზე პიტიუნტელი ეპისკოპოსის დასწრების ფაქტი. მაგრამ საკითხის ასე დაყენებასა და გადაჭრას ართულებდა შემდეგი გარემოება. მკვლევართა ნაწილი ეპისკოპოს სტრატოფილეს ბერძნულენოვანი კოლონიის ეპისკოპოსად მიიჩნევდა (კეკელიძე, 1955, გვ. 16). თუმცა ს. ყაუხჩიშვილმა თავისი "გეორგიის" პირველ ტომში დაასაბუთა, რომ პიტიუნტის ეკლესია ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა და მასში ბერძენ-რომაელ კოლონისტებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც იყო გაერთიანებული. ამის ერთ-ერთ ნიშნად მკვლევარი თვლიდა ადგილობრივ მკვიდრთა თაოსნობით აგებული ტაძრის მოზაიკურ წარწერაში ქტიტორად ქართველი წარჩინებულის "ორელის" მოხსენიებას (ყაუხჩიშვილი, 1942, გვ. 6-10).

საინტერესო მოსაზრება ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის თაობაზე ეკუთვნის გ. მჭედელიძეს, რომელიც შენიშნავს, რომ ფორმულირება – "ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება" ეგრისის მიმართ ზუსტად მისადაგებული არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით მკვლევარს მაგალითად მოაქვს რომის იმპერატორთა სახელმწიფო სამართლებრივი აქტები, როგორც ღონისძიებათა მთელი სისტემა რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და აქვე დასძენს, რომ ეგრისის მიმართ მსგავსის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. თავად მკვლევარი ეგრისში ქრისტიანობას საერთოდ



აღიარებულ რელიგიად ნიკეის საეკლესიო კრებამდე მიიჩნევა (მჭედლიძე, 2008, გვ. 24-25, 28).

აღნიშნავთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ გ. მჭედლიძის მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება თანდათანობით მიმდინარე პროცესია და არა ერთჯერადი აქტი, მით უმეტეს, რომ თავად ეგრისის ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება (ლაზების ჰეგემონობით მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება) IV საუკუნის მიწურულისათვის სრულდება, რაც დასტურდება ბიზანტიური წყაროების (Agath. Hist., III, 5, 15; Prokop. De BP, II, 15) მიხედვითაც (ჭუმბურიძე, 2009, გვ. 75).

ახალ ქრისტიანულ მოძღვრებას კარგად რომ იცნობენ IV საუკუნის ეგრისის მმართველები, ეს დ. ლომიტაშვილისთვისაც ეჭვგარეშეა. მკვლევარის ვარაუდით, III-IV საუკუნეებით დათარიღებული წარწერიანი ქვაჯვარის არსებობა ნოქლაქევში ქვეყნის დედაქალაქის და შესაბამისად, სახელმწიფოს რელიგიური ორიენტაციის მაჩვენებლადაც შეიძლება გამოდგეს. ის ასევე ფიქრობს, რომ ქრისტიანული ეკლესია III საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, ძნელად, მაგრამ მტკიცედ იმკვიდრებს თავის შეუცვლელად აღვიდს სამეფოში. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, თითქოს გაქრისტიანების შემდგომ თუნდაც ძირითადი მოსახლეობა ერთგულებას იჩენდა ახალი სარწმუნოების მიმართ და წარმართობას ამ დროიდან მოყოლებული არავითარი ძალა აღარ გააჩნდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დ. ლომიტაშვილი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს და მიუთითებს, რომ ბრძოლა ეროვნულ წარმართობასა და ქრისტიანობას შორის, როგორც ჩანს მოქცევის შემდგომაც არ შეწყვეტილა და წარმართობის მიმდევართა შორის თვით სამეფო სახლის წევრებიც კი ჩანან (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 270-271). მეფისა და სამეფო საგვარეულოს წევრთა ასეთი შესაძლოა იძულებითი მერყევი პოზიცია სარწმუნოებათა მიმართ ცხადია თავის სერიოზულ გავლენას იქონიებდა ახალგაზრდა ქრისტიანული მოძღვრების მტკიცედ დამკვიდრებაზე ქვეყანაში.



ქრისტიანობის გავრცელება ეგრისის სამეფოში განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. VI საუკუნის 20-იან წლებამდე ეკლესია არ უნდა წარმოადგენდეს გამორჩეული პრივილეგიების მქონე ფეოდალს (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 195-199, 207).

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-დამკვიდრების თარიღებისა და სხვა საკითხების გარკვევისათვის უადრესად დიდ მნიშვნელობას იძენს არქეოლოგიური კვლევის შედეგები. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავამახვილოთ ყურადღება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში შემოსულ ცვლილებებთან, რომლებიც ახალი რელიგიის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით შეიძლება აღინიშნოს უკვე IV საუკუნიდან დაფიქსირებული ქრისტიანული დაკრძალვის წესი წებელდის ნეკროპოლზე. ხ. ანჩაბაძე თავის მონოგრაფიაში "История и культура древней Абхазии" წებელდის სამაროვნებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ სამარხებში დადასტურებულია დაკრძალვის რიტუალის ორი ტიპი. პირველ ტიპს მიეკუთვნება სამარხი ორმოები წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისა, რომელშიც მიცვალებულები დაკრძალულნი არიან გასწორებულ მდგომარეობაში და გულხელდაკრეფილნი, ხოლო მათი თავი ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით, რაც შეესაბამება დაკრძალვის ქრისტიანულ წესს და ამ ტიპის სამარხები წებელდის ნეკროპოლის 85-95% შეადგენს (Анчабадзе, 1964, გვ. 228).

ინტერესს იწვევს ასევე წებელდაშივე ნაპოვნი ქრისტიანული სიმბოლიკით შემკული ნივთები. მათ შორის აღსანიშნავია ოქროს ჯვარი, რომელიც თხელი ფურცლოვანი ოქროსაგანაა დამზადებული. მას აქვს სწორკუთხა მოხაზულობა და ზედ მიმაგრებულია ყელზე დასაკიდებლად განკუთვნილი ფირფიტისებრი მარყუჟი, რომლის ცენტრში ჩასმულია ნახევრად გამჭვირვალე მინა. უნიკალურ ნივთს წარმოადგენს ჩამოსხმის წესით დამზადებული ვერცხლის ფირფიტისებრი მედალიონი

1272.3



რელიეფურად გამოსახული ქალის თავით, რომლის ხასხასი ირგვლივ საფეთქლებამდე შემოუყვება წვრილი მარცვლები. მედალიონზე რელიგიური ხასიათის ბერძნული წარწერაა. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე გუდაუთაში ნაპოვნი ლატუნის მედალიონი, რომლის წინა მხარეს მოცემულია რელიეფური გამოსახულება ადამიანის ფიგურისა თავის დონემდე აწეული გაშლილი ხელიგულებით. ფიგურის მკერდზე ჯვარია ამოტვიფრული. იგივე სიმბოლოა ამობურცულ-ორნამენტირებული ფორმით ამოკვეთილი მედალიონის მეორე მხარეს (Анчабадзе, 1964, გვ. 221; Трапш, 1961, გვ. 187; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 355).

საინტერესოა, რომ ქრისტიანული სიმბოლიკით შემკული ნივთები აღმოჩენილია ციხისძირში გათხრილ სამარხებში, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ გემშიანი ბეჭედი თევზის გამოსახულებით და ჯვრის გამოსახულება, თუმცა ნ. ინაიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წებელდისაგან განსხვავებით ციხისძირის სამაროვანზე ქრისტიანული დაკრძალვის წესი არ ფიქსირდება (ინაიშვილი, 1993, გვ. 114).

ქრისტიანული სიმბოლო – რკინის ჯვარი აღმოჩნდა ბიჭვინთაში ნაპოვნ III საუკუნის მიწურულით დათარიღებულ ადრექრისტიანულ სტელაზე სამალავ ბუდეში. ჯვრის გამოსახულებები გვხვდება აგრეთვე წებელდაში გამოვლენილ კერამიკულ და მინის ჭურჭელზე (ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი, 1997, გვ. 98).

რელიეფურად გამოყვანილი ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული ქუთაისის IV საუკუნის დიდი ბაზილიკის ნგრევის ფენაში ნაპოვნ ხელით ნაძერწ რომბისებური ფორმის ანტეფიქსზე. ჯვრის ფორმა და ხელით დამზადება ანტეფიქსის ადრეულობაზე მეტყველებს (ლანჩავა, 2007, გვ. 113). ასევე მნიშვნელოვანია VII საუკუნის "ქუთათისის საყდარი"-ს გათხრებისას აღმოჩენილი V-VII საუკუნეებით დათარიღებული ანტეფიქსი ჯვრის გამოსახულებით და ქარაგმიანი წარწერით "გაბრიელი". ო. ლანჩავას ვარაუდით, ანტეფიქსი VII საუკუნეში აგებული ტაძრის თანადროულია (ლანჩავა, 2007, გვ. 151).

ქრისტიანობის გავრცელებაზე ასევე მეტყველებს შემთხვევით და არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლების შესრულებულია სხვადასხვა მასალაზე (ლითონი, თიხა, ქვა), რომლებსაც თითქმის დოკუმენტის ღირებულება გააჩნიათ. წებელდის IV საუკუნის ვერცხლის მედალიონზე ბერძნული წარწერაა – ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა (Ανχανάδζε, 1964, გვ. 225). ბერძნულენოვანი ქრისტიანული წარწერებია ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკაზე. ტაძრის იატაკის შემადგენელ ადგილზე გამოსახულია მსხვილი მედალიონი, რომელიც შეიცავს ქრისტეს სახელის საწყისის ორი ბერძნული ასოს მონოგრამას: "X", "P" და შემდეგ წარწერას "შე ვარ აღფა და ომეგა, დასასწყისი და დასასრული, ამბობს უფალი". იგივე მოზაიკაზე შემორჩა ფრიად საინტერესო მეორე წარწერა, რომელშიც ვინმე "ორელი" და მისი ოჯახია მოხსენიებული (Ανχανάδζε, 1964, გვ. 224-225). ს. ყაუხჩიშვილი თვლიდა, რომ "ორელი" ქართველი წარჩინებულია, რომელმაც დააგო ტაძრის იატაკი და შესაძლოა ააშენა თავად ტაძარი (ყაუხჩიშვილი, 1942, გვ. 6-10).

აღსანიშნავია, რომ მოზაიკის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით (უფალო შემეწიე) შემორჩა ასევე ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 114).

ბერძნული წარწერა აღმოჩნდა ნოქალაქეში 2001 წელს, როდესაც ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე მისი საპარადო შესასვლელის მარჯვენა მხარეს, პირველ გალავანზე ამაველი კიბის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოავლინა ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი. სწორედ მასზეა გამოკვეთილი ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა. მისი შესწავლა ერთდროულად მიმდინარეობდა თბილისში აკად. თ. ყაუხჩიშვილისა და ლონდონში სამეფო კოლეჯის ძველი ბერძნული ეპიგრაფიკის სპეციალისტის შარლოტა როჩეს მიერ და ის III-IV სს-ით დათარიღდა. წარწერა არსებული მონაცემების მიხედვით ასე წაიკითხა: [(?)Y(?) AYP.ETI (M ან N) || ΔΘΥ – "...ავრელიუსმა მიანიჭა (ან პატივი სცა)...მონა (?ღვთისა)... დ. ლომიტაშვილი



არ გამოორიცხავს, რომ წარწერა შესრულებული ყოფილიყო ჯერის არა მხოლოდ მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე, არამედ მისი დასაწყისი შესრულებული ყოფილიყო ქვის ზედა და ქვედა მკლავებზეც (თ. ყაუხჩიშვილი I. III. 2002; ლომიტაშვილი, 2003, გვ. 196-198).

განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი, რომლებიც ადრე ძირითადად ნაპოვნი იყო დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილში და ნოქალაქე-არქეოპოლის-ციხე-გოჯის მიდამოებში. შესაბამისად, ფიქრობდნენ, რომ ქრისტიანობა მხოლოდ ამ რეგიონებში იყო გავრცელებული. ამ ძეგლებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ბიჭვინთის, ნოქალაქევის, ციხისძირის ბაზილიკური ტაძრები (დიდი პიტიუნტი, 1977, გვ. 83-89; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 177, 261; ინაიშვილი, 1974, გვ. 118-153), ასევე ფიჭვნარსა და ბობოყვათში ნახული ადრეული ხანის ბაზილიკათა ნაშთები სამარხებით (დიასამიძე, 1999, გვ. 62). ეგრისში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღების განსაზღვრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის არქეოლოგიურ გათხრებს, რომლის დროსაც აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის საეკლესიო ნაგებობანი. ვთვლით, რომ სწორედ ქუთაისის არქეოლოგიურმა შესწავლამ დაადასტურა ეგრისის მთელი ტერიტორიის ფარგლებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება IV საუკუნეში (ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 356).

დასავლეთ საქართველოს რელიგიური ცენტრების საკითხისათვის

ადრექრისტიანული ეპოქის ეგრისში ბიზანტიური წყაროების მიხედვით რამოდენიმე საეკლესიო ცენტრი არსებობდა. VII-IX საუკუნეებით დათარიღებულ საეკლესიო ნოტიციებში ჩამოთვლილია კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული საეკლესიო ეპარქიები. მათ შორის



დასახელებულია: ლაზიკის ეპარქია - ფასისის სამიტროპოლიტო, რომელსაც თავის მხრივ ემორჩილება ოთხი საეპისკოპოსო - როდოპოლისი (ვარდციხე), პეტრა (ციხისძირი?), საიხინი (ცაიში?) და ზიგანევი (გუდავა); ნიკოფსისა და საბასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოები (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 140, 186-192). გ. მჭედლიძე ბ. კუდავას მიერ გამოყენებულ ჟან დარუხესის გამოცემაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ უძველეს, 641 წლამდე შედგენილ VII ნოტიციაში ასახულია იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) დროინდელი ვითარება, რაც სხვა ნოტიციების მიხედვით შენარჩუნდა IX საუკუნის დასასრულამდე. მაშასადამე, VI-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებიან, მომდევნო ხანებში კი ისინი დამოუკიდებელი გახდნენ (მჭედლიძე, 2008, გვ. 31-32). IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას აღიარებენ ნ. ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი, 1966, გვ. 49), ბ. დიასამიძე (დიასამიძე, 2001, გვ. 216-217), ბ. კუდავა (კუდავა, 2002, გვ. 43). თუმცა არის გასხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ეს ფაქტი მოხდა X საუკუნეში (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 198; კეკელიძე, 1957, გვ. 357; ინგოროყვა, 1954, გვ. 244).

თუ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ეპარქიების შესახებ გვაქვს VI საუკუნის შემდგომი ინფორმაცია, IV-V საუკუნეებთან დაკავშირებით საკითხი უფრო ბუნდოვანია. წყაროებით ამ დროს საეპისკოპოსოს არსებობა დასტურდება მხოლოდ პიტეუნტში, რომელიც IV საუკუნის პირველ მეოთხედში კავკასიაში ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრია. აქაური ეპისკოპოსი სტრატოფილე 325 წელს ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შორისაა და ხელს აწერს კიდევ კრების მიერ მიღებულ აქტებზე. ცნობილია, რომ პიტეუნტის ეპარქია ემორჩილებოდა ნეოკესარეის მიტროპოლიას (Амиранашвили, 1963, გვ. 113; Анчабадзе, 1964, გვ. 227).

გ. მჭედლიძე აღნიშნავს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია სტრატოფილეს გარდა სხვა საეკლესიო



მოდვაწეთა არსებობა და რომ სამი მათგანის სახელი (სტრატოფილე, სოფრონიუსი და იბირბზხუა-ირენარსე) ცნობილია (მჭედლიძე, 2008, გვ. 21-23). ვ. გოილაძე აღნიშნულ ეპისკოპოსთა ხელდასხმას კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოს ლეონტის მიერ 325 წლამდე განხორციელებულ აქტად თვლის და მიუთითებს, რომ ამ დროს ეგრისში რამდენიმე ეპისკოპოსი უკვე იჯდა (ვ. გოილაძე, 1991, გვ. 121).

თუმცა შევნიშნავთ, რომ არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, დ. ლომიტაშვილი გაკვირვებას გამოხატავს, რომ ვ. გოილაძე კრიტიკულად უდგება აგათანგელოსის ცნობებს ქართლის მოქცევის შესახებ და იმავდროულად პირიქით იქცევა ეგრისთან მიმართებაში. აგათანგელოსის ცნობების ანალიზის შედეგად დ. ლომიტაშვილი ასკვნის, რომ "იბერბზხუა"- "ირენახე" ეგრისში საერთოდ არ ყოფილა და იქ სოფრონი გამოუგზავნიათ. თუმცა მკვლევარი იზიარებს კესარიელი და სებასტიელი საეკლესიო პირების მისიონერული მოღვაწეობის შესაძლებლობას დასავლეთ საქართველოში, რისი დამადასტურებელიც უნდა იყოს ორმოცმრწამეთა სახელზე აგებული ეკლესიები (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 202-203).

ეგრისის სამეფოს საეკლესიო მოწყობის საკითხით არა ერთი მკვლევარი დაინტერესდა. ვ. მჭედლიძე იმოწმებს რა ა. ჯაფარიძის მითითებას ადრექრისტიანულ ხანაში მთელი ქვეყნის მომცველი ერთი ცენტრის მქონე ქრისტიანული ეკლესიის არარსებობის შესახებ (ჯაფარიძე, 1996, გვ. 133), აღნიშნავს, რომ იგივე ვითარება იქნებოდა ეგრისში და აქაური ეპისკოპოსები ერთმანეთზე არ იქნებოდნენ დამოკიდებულნი. სავარაუდოდ, ისინი ცალ-ცალკე შედიოდნენ პოლემონის პონტოს ეპარქიაში (მჭედლიძე, 2008, გვ. 29).

გვინდა შევნიშნოთ, რომ ეგრისის ტერიტორიაზე IV-VI საუკუნეების მრავალი ეკლესია და ტაძარია. მაგალითად, ნოქალაქეში ამ ეპოქის ექვსი ეკლესიაა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 165-228), რაც ციხე-გოჯში თავისთავად ძლიერი საეკლესიო ორგანიზაციის არსებობას ადასტურებს (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 200). იგივე ვითარებაა ქუთაისში.



შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრებანი ამ ქალაქებში საეპისკოპოსოს ცენტრების არსებობის შესახებ.

ნოქალაქევი – დ. ლომიტაშვილი აღნიშნავს, რომ ბევრ მკვლევარს საკმარის უცნაურად ეჩვენებოდა და ეჩვენება აღნიშნულ ნუსხებში ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ციხე-გოჯი-არქეოპოლისის მოუხსენიებლობა და იმოწმებს კიდევ ზოგიერთი მათგანის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად "ეკთეზისებში" არქეოპოლისის მოუხსენიებლობის მიუხედავად ვ. ჯაფარიძე მაინც უშვებს ვარაუდს არქეოპოლისის საეპისკოპოსო ცენტრად მიჩნევის თაობაზე (ჯაფარიძე, 2002, გვ. 95-98). ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ ლაზეთის სამიტროპოლიტო "ეკთეზისებში" გადმოცემული სტრუქტურით არქეოპოლისის დაცემის შემდგომ შეიქმნა, ან კიდევ აბისენონის საეპისკოპოსო, რომელიც IX საუკუნის ერთ "ეკთეზისში" "საესინის" მაგივრად იხსენიება, აბაშას გულისხმობდა და შესაბამისად არქეოპოლისსაც მოიცავდა (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 517-518). ნ. ლომოურმაც გამოთქვა ვარაუდი ნოქალაქევი საეპისკოპოსო კათედრის არსებობის შესახებ, თუმცა ასევე არ გამორიცხა საეკლესიო ცენტრის ფაზისში არსებობაც (ლომოური, 1987, გვ. 39-40). ნოქალაქევი ეკლესიების სიმრავლის (IV ს. I ნახევრის ეკლესია; V ს. შუახანების სამნავიანი ბაზილიკა; VI ს. დასაწყისის ახალი სამნავიანი – "ორმოცმოწამეთა" – ბაზილიკა; ცალნავიანი ეკლესია; ქალაქის გადავანში ჩართული დარბაზული ეკლესია; ციტადელის "მისარონის" ეკლესია) საფუძველზე პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ მიუთითეს, რომ გარკვეულ პერიოდში ციხე-გოჯი-არქეოპოლისი დედაქალაქისათვის დამახასიათებელ საეკლესიო ცენტრსაც წარმოადგენდა და ვარაუდის სახით აღნიშნეს თავდაპირველად ერთ-ერთი საეკლესიო კათედრის ნოქალაქევიში არსებობა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 261). ნ. მარის თეორიაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც საქართველოს პირველი მიტროპოლიტი იყო "იბირბზხუა", ვ. გოილაძე ნოქალაქევს თვლის მიტროპოლიტის რეზიდენციად, ხოლო VI საუკუნის ორმოცმოწამეთა ეკლესიას, რომელიც აგებულია IV და V



საუკუნეთა ორი ეკლესიის ნანგრევებზე, მის მიერ აგებულია (გოილაძე, 1991, გვ. 121-122).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დ. ლომიტაშვილი შენიშნავს: "თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ პირველი სამიტროპოლიტო ციხე-გოჯ-არქეოპოლისში იყო, მაშინ გამოდის, რომ შემდგომში მოხდა მისი ჩანაცვლება ფაზისში, რაც შეუძლებელი ჩანს". ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკვლევარმა გაიზიარა ნ. ლომოურის მოსაზრება, რომ ფაზისი გარკვეულ პერიოდში ქვეყნის ცენტრი იყო ციხეგოჯის გადგაქალაქებამდე (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 204; Ломоური, 1993, გვ. 114). ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგების მიხედვით დ. ლომიტაშვილი თვლის, რომ არქეოპოლისი თავიდანვე დედაქალაქად იყო ჩაფიქრებული და მისი აღმავლობის პარალელურად მიმდინარეობდა ფაზისის, როგორც ცენტრის დამცრობა. VII საუკუნეში „ეკთეზისების“ ადრეული ნუსხის შედგენისას, საქალაქო ცხოვრება ფაქტიურად მოშლილია. ასე რომ, სამიტროპოლიტოს ფაზისში დაარსება იმ დროსაა შესაძლებელი, როდესაც ის ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიძლიერეს. შესაბამისად, აქ სამიტროპოლიტოს დაარსება IV საუკუნეში იყო მოსალოდნელი (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 204-205). რაც შეეხება ნოქალაქევს, დ. ლომიტაშვილი ფიქრობს, რომ ეგრისის სამეფოს გარკვეული პრეტენზიები გააჩნდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბიზანტიისაგან და შესაძლოა ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ეკლესიათა ასეთი სიმრავლის მიუხედავად ნოქალაქეში საეპისკოპოსო ცენტრი არ შექმნილა (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 199-200).

ვაშნარი – დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრია, რომელიც რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში დასახელებული არ არის. ის ნატანებისა და სუფსის ორმდინარეთში, სოფ. გურიანთას ადგილ ვაშნარში მდებარეობს და მისი ფუნქცია და სტატუსი დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეული. ვ. ლექვინაძე მას სამონასტრო ცენტრად მიიჩნევდა (Леквинадзе, 1961, გვ. 153; Леквинадзе, 1972,



გვ. 309). ო. ლანჩავას ვაშნარი რიონის-ყვირილას სასიმაგრო ხაზის სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტთა სიაში შეაქვს, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ მისი ამ სტატუსით განხილვა პირობითია (ლანჩავა, 1996, გვ. 39). მოგვიანებით ო. ლანჩავამ ვ. სადრაძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაიზიარა მოსაზრება, რომ ვაშნარი წარმოადგენდა ციხე-ქალაქს და მონასტერს (ლანჩავა, 2007, გვ. 85). ვ. ჯაფარიძე ვაშნარს ეგრისის მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებთან ერთად განიხილავს, მაგრამ შენიშნავს, რომ ის გამოირჩევა მათგან განსხვავებული ნიშნებით, რაც კვლევას მოითხოვს. მკვლევარის ყურადღებას აგრეთვე იპყრობს თიხის სარკოფაგების ხშირი აღმოჩენის შემთხვევები და ფიქრობს, რომ ისინი შესაძლოა მიუთითებდეს ვაშნართან დაკავშირებით ქრისტიანული თემების კონცენტრაციაზე. საინტერესოა, რომ ვაშნარის ტაძრის აბსიდის შიდა ნაწილის გასწვრივ მოწყობილი ნახევარწრიული მერხის ცენტრალურ ნაწილში ამადლებული ადგილი ვ. ჯაფარიძემ ეპისკოპოსის საჯდომად მიიჩნია (ჯაფარიძე, 1999, გვ. 110). ვ. სადრაძე ვაშნარის მასალების კვლევის შედეგად IV-V საუკუნეებში სამონასტრო კომპლექსზე, ხოლო VI საუკუნის დასაწყისიდან ციხე-ქალაქის ჩამოყალიბებაზე საუბრობს (სადრაძე, 2003, გვ. 83).

ვაშნარის არქიტექტურული კომპლექსი შედგება: სასიმაგრო სისტემის, აკროპოლისის, ბაზილიკის და "მავზოლეუმი"-საგან. აქვეა გამოვლენილი სამაროვანი (სადრაძე, 2003, გვ. 5, 20, ტაბ., I, II, III, IV). ცენტრისტული კომპოზიციის ხუთწახნაგა აბსიდიანი ბაზილიკა ფრიად ორიგინალურ ნაგებობადაა მიჩნეული სპეციალისტების მიერ. ძალზე საინტერესო ძეგლია ასევე ე. წ. "მარტირიუმი," კვადრატული ორსართულიანი ნაგებობა ორმაგი კედლებით (სადრაძე, 2003, გვ. 60-64; Леквинадзе, 1972, გვ. 312-315; ჯაბუა, 2007, გვ. 77-81), რომელიც ადრე სამლოცველოდ იყო მიჩნეული (გობეჯიშვილი, 1952, გვ. 154).

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ვაშნარის თავდაპირველი კვადრატული ფორმის ციხე კასტელუმის პრინციპითაა ნაგები, ფასისის ავანპოსტს წარმოადგენდა და იბერიის ექსპანსიის



შესაჩერებლად იყო გათვალისწინებული. მოგვიანებით ის ასევე უზრუნველყოფდა პეტრასა და საერთოდ ზღვისპირეთის მონაკვეთის უსაფრთხოებას და ასევე რამდენადმე აკონტროლებდა ლაზიკის შიდა რაიონებსაც. თუმცა ასევე არ გამოირიცხება, რომ ვაშნარი გურიის მიკრორეგიონის თავდაცვითი პუნქტი შეიძლება იყო, რომელიც აღმოსავლეთ ეგრისის სხვა ციხესიმაგრეთა მსგავსად ქვეყნის გარკვეულ მონაკვეთს იცავდა (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 171; თოდუა, მურვანიძე, 1997, გვ. 111; თოდუა, 2007, გვ. 68-72).

საინტერესოა, რომ ვაშნარს მიუხედავად მისი ფუნქციის გაურკვეველობისა, ადრეულ ეტაპზე მაინც სატაძრო (სამონასტრო? – ვ. სადრაძე) კომპლექსის სახე აქვს. ძნელია მისი წარმოდგენა თავიდანვე სასიმაგრო ნაგებობად. ის არც ზღვისპირას დგას, რომ რომაული სასიმაგრო სისტემის კუთვნილებად მივიჩნიოთ და არც რიონ-ყვირილას მაგისტრალთანაა ახლოს, რომ ეგრისის თავდაცვის სისტემის რომელიმე საზის შემადგენელ ნაწილად ჩავთვალოთ (ჭუმბურიძე, 2009, გვ. 169).

ასევე აღვნიშნავთ, რომ ნ. ჯაბუას ვაშნარის ეკლესიის სტატუსის განსასაზღვრად მოაქვს ვ. ჯაფარიძის მოსაზრება, რომ ბაზილიკის აბსიდის კედლის გასწვრივ დაფიქსირებული სამღვდელოების ჩამოსაჯდომი ქვის რიგის ცენტრში გამოყოფილი ამადლებული ადგილი ეპისკოპოსისათვის იყო განკუთვნილი და შესაბამისად, საეპისკოპოსო ეკლესიას წარმოადგენდა. ნ. ჯაბუა დაბეჯითებით ამბობს, რომ ვაშნარი წარმოადგენდა გამორჩეული მნიშვნელობის საკულტო ძეგლს (ჯაბუა, 2007, გვ. 81).

მიუხედავად იმისა, რომ ვაშნარი, როგორც საეკლესიო ძეგლი არ მოიხსენიება ბიზანტიურ წყაროებში, სრულიად შესაძლებელია აქ მართლაც ყოფილიყო საეკლესიო ცენტრი, ყოველ შემთხვევაში IV-V საუკუნეებში მაინც, როგორც ამას ვარაუდობენ ნოქალაქკეის მიმართ (ჭუმბურიძე, 2009, გვ. 170).

ბიზანტიურ წყაროებში დასახელებული დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოებიდან სამის იდენტიფიკაცია



მოსდენილია: პეტრასი ციხისძირში, როდოპოლისის ვარდციხეში, ძიგანევისა გუდავაში. რაც შეეხება საესინის საეპისკოპოსოს, მასთან დაკავშირებით რამოდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. ს. ყაუხჩიშვილი მას „ცაიშთან“ აიგივებდა (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 140, 186-192). ბ. ლორთქიფანიძის ვარაუდით საესინის საეპისკოპოსო არგვეთში მდებარეობდა, თუმცა როგორც ამას დ. ლომიტაშვილი შენიშნავს, მისივე თქმით ეს ვარაუდია და დამატებითი არგუმენტები ამ აზრის სამტკიცებლად არ მოიპოვება (ლორთქიფანიძე, ლომიტაშვილი, 2000, გვ. 32). ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ აბისენონის საეპისკოპოსო, რომელიც IX საუკუნის ერთ "ეკთეზისში" "საესინის" მაგივრად იხსენიება, აბაშას გულისხმობდა (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 517-518).

გუდავა - ზიგანევი, ზიგანეოსი - ზიდანეოსი, ლოკალიზებულია გაღის რაიონში, მდ. ოქუმის შესართავთან. თვლიდნენ, რომ იგი Notitia Dignitatum-ში მოხსენიებული ზიგანეა, რომელიც IV-V საუკუნეებში მნიშვნელოვანი რომაული სტრატეგიული პუნქტი იყო (ლევინაძე, 1969, გვ. 81-82; ზაქარაია, ლექვინაძე, 1974, გვ. 139; ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 191-192). მაგრამ ნ. ლომოურმა დამაჯერებლად უარყო Notitia Dignitatum-ში მოხსენიებული ყველა პუნქტის, მათ შორის ზიგანას ლოკალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე (ლომოური, 1989, გვ. 65-72; Ломоური, 1987, გვ. 59-73). ჩვენც ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ გუდავას არქეოლოგიური შესწავლის შედეგები ნაკლებად იძლევიან მისი მძლავრ ციხესიმაგრედ წარმოდგენის საშუალებას.

გუდავაში აღმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები ნახევარწრიული შეერილი აბსიდით, საძვალე და დაზიანებული ორმოსამარხი. ეკლესია X-XI საუკუნეებით დათარიღდა, მაგრამ შემდეგ იგი ადრეფეოდალური ხანის ბაპტისტერიუმად ჩაითვადა. კათედრალური ტაძრის ნაშთები მიკვლეული არ იქნა (ზაქარაია, ლექვინაძე, 1971, გვ. 100-102, სურ. 5; ზაქარაია, ლექვინაძე, 1974, გვ. 139-141, სურ. 1).

გვიქრობთ, რომ თუ განითვალისწინებთ Notitia Dignitatum-ის



ზიგანას არა ლაზეთში, არამედ ტრაპიზონის სამხრეთით
 ზიგანას უღელტეხილთან, სოფ. ზიგანაში მდებარეობას
 (ლომოური, 1989, გვ. 68), ძნელი წარმოსადგენი იქნება გუდავაში
 რომაული კასტელუმის არსებობა. მიგვანჩნია, რომ აქ მხოლოდ
 ლაზეთის ეპარქიის ერთ-ერთი ეპისკოპოსის რეზიდენციაა,
 რომელიც დაცულია ნაკლებ მონუმენტური სასიმაგრო
 ნაგებობით და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა
 გამოყენებული ყოფილიყო თავდაცვისათვის.

ციხისძირი (პეტრა?!) – მისი აღმავლობა იწყება IV
 საუკუნიდან, როდესაც წარმოიქმნა საქალაქო დასახლება
 (ინაიშივილი, 1993, გვ. 121; კახიძე, 2002a, გვ. 16). ციხისძირი
 ბიზანტიური ეპოქის მძლავრ სიმაგრედ ითვლება (ლანჩავა,
 1996, გვ. 15). არქეოლოგიური ძეგლებიდან ციხისძირში
 აღმოჩენილია V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა, რომლის
 ქვეშ ადრინდელი ტაძრის კედლებია, ხუთგანყოფილებიანი
 აბანო, ქარვასლის ნაშთები, დიდი ზომის საზოგადოებრივი
 ნაგებობა (სახახლე), სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები,
 გემშიანი ბეჭედი თევზის გამოსახულებით, ჯვრის
 გამოსახულება და მოზაიკის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით
 (უფალო შემეწიე), სამაროვანი, მრავალფეროვანი კერამიკა, შინის
 ნაწარმი, მონეტები, ლითონის იარაღი (ინაიშივილი, 1974, გვ.
 118-153; ინაიშივილი, 1988, გვ. 118-148; ინაიშივილი, 1993, გვ. 114;
 მამულაძე, 2002, გვ. 26-27).

V-VI საუკუნეების ციხისძირში ე. წ. ვილა ფუნქციონირებდა,
 სადაც აბანოს მოზაიკაზე ბერძნულენოვანი გრაფიტო
 დასტურდება (კახიძე, 2002b, გვ. 121). აღნიშნავენ, რომ
 გაურკვეველია ამ ეპოქაში ციხისძირის სტატუსი და ფუნქცია.
 ამ გაურკვეველობის საფუძველად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ
 იუსტინიანეს მიერ ქალაქის დაარსებისას აქ უკაცრიელი და
 უმნიშვნელო ადგილი იყო (კახიძე, 2002b, გვ. 121-122, შენ. 50).

თუ გავითვალისწინებთ, რომ IV საუკუნის ბოლო – V
 საუკუნე ლაზეთის ძლიერების ხანაა და მისი სამხრეთი
 საზღვარი მდ. ჭოროხის სექტორში, ან უფრო სამხრეთით
 აღწევს, მაშინ ციხისძირი ლაზეთის ფარგლებშია და ის



ადგილობრივი სამხედრო სტრატეგიული პუნქტი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება იუსტინიანეს მიერ ქალაქის დაარსებისას აქაურობის გაუკაცრიელებას, პირველ რიგში ეს იმპერატორის საქმიანობის გაზვიადებულ წარმოდგენას ემსახურება და მეორეც, იუსტინიანეს მიერ აგებული პეტრას ლოკალიზაცია დღემდე სადავოდ რჩება, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით პეტრა სწორედ ციხისძირთან არის გაიგივებული და შესაბამისად, აქვე წარმოდგენენ პეტრას საეპისკოპოსო კათედრას (ჯანაშია, 1949, გვ. 30, 41-44; ხოშტარია, 1962; სულეიმანოვი, 1957, გვ. 5-41; სიჭინავა, 1957, 51-52; ინგოროყვა, 1954, გვ. 230-234; სიხარულიძე, 1962, გვ. 25-26; Леквинадзе, 1973, გვ. 169-186; ინაიშვილი, 1971, გვ. 74-88, 91-107; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 102-104). არსებობს პეტრას ლოკალიზაციის სხვა ვერსიებიც: დიუბუა დე მონპერემ იგი ვაშნართან გააიგივა (Dubois de Montpereux, 1839, გვ. 85, t. III); ს. ყაუხჩიშვილი მას ბათუმში ვარაუდობდა (ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 58-60); მ. სვანიძე კი აფსაროსში გულისხმობს (სვანიძე, 1998, გვ. 21-30). ციხისძირის და პეტრას იდენტიფიკაციას არ დაეთანხმა აგრეთვე გ. გრიგოლია, რომელმაც გაანალიზა რა წერილობითი, არქეოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული, ტოპონიმიკური, ისტორიოგრაფიული მონაცემები, გამოთქვა მოსაზრება პეტრას ლოკალიზაციის შესახებ თანამედროვე ქ. ხოფაში თურქეთის ტერიტორიაზე. მკვლევარის ძირითადი არგუმენტებია: ხოფას ტოპოგრაფიის ზედმიწევნით შესაბამისობა პეტრას აღწერილობასთან, ნავსადგურის არსებობა, ბიზანტია-ეგრისის საზღვრის ხოფასთან მდებარეობა V-VI საუკუნეებში, რაც სავსებით ემთხვევა ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს, პროკოპისთან მოხსენებული მდ. ბოას-ფასისის მდ. ჭოროხთან იგივეობა (გრიგოლია, 1994, გვ. 11-78). ბოას-ფასისის ჭოროხთან იგივეობას იზიარებს ასევე დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 282). ჩვენც ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მომენტისათვის ეს მართლაც ასეა. თუ ჩავთვლით, რომ ბიზანტიელებმა პეტრა საზღვართან ააგეს, მაშინ რეალურად შეიძლება პეტრა-ხოფას იდენტიფიკაციაზე საუბარი. მართლაც ძალიან დიდია ცდუნება



გ. გრიგოლიას მოსაზრების გაზიარებისა. მაგრამ ვიფიქრებთ, რომ ბიზანტიელებმა თავიანთი საყრდენი პუნქტი არა საზღვარზე, არამედ ქვეყნის შიგნით, თუმცა არც ისე შორს საზღვრიდან, დააარსეს, მაშინ ციხისძირი ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია (ჭუმბურიძე, 2009, გვ. 105).

მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ხოფაში ბიზანტიური ციხის ნაშთები არ ჩანს (ლანჩავა, 1996, გვ. 15), თუმცა გ. გრიგოლიას ხოფას ზღვისპირა რაიონში დამოწმებული ტოპონიმები: ჯიხა (ციხე), ყალა-დიბი (ციხისძირი) და პიდრონიმი პეტროლალი (პეტრას-წყალი), ხოფასთან პეტრას იდენტიფიკაციის დასამტკიცებლად საიმედოდ მიაჩნია (გრიგოლია, 1994, გვ. 77).

ასევე შევნიშნავთ, რომ პეტრას ლოკალიზაციის შესაძლებლობა ხოფაში თავისთავად იწვევს კითხვებს პეტრას საეპისკოპოსო კათედრის ადგილმდებარეობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება საკითხი გადაისინჯოს პეტრას საეპისკოპოსო კათედრის ციხისძირში მდებარეობის შესახებ არსებული მოსაზრება. ვფიქრობთ, რომ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროკოპი კესარიელის ცნობა, რომლის მიხედვით რომის სამფლობელო აღწევდა რიზემდე, ხოლო მის იქით თვითთავადი ხალხი ცხოვრობს, რომელიც არავის არ ემორჩილება პოლიტიკურად, მაგრამ მათ მღვდელმსახურებას ღაზთა ეპისკოპოსები უწესებენ. გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ IV საუკუნის 60-იანი წლებიდან ეს ხალხი ღაზეთის მიერ იყო დამორჩილებული, ხოლო V საუკუნის მეორე ნახევრიდან ღაზეთის დასუსტების შემდეგ ისინი კვლავ განთავისუფლდნენ ღაზთა პოლიტიკური ბატონობიდან (Меликишвили, 1959, გვ. 390). აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით დ. ლეთოლიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კონფესიონალური გავლენა ეგრისის ეპისკოპოსისა ტრაპიზონის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე არის ნაკვალევი იმისა, რომ ეს ტერიტორია ადრე მოქცეული იყო ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში (ლეთოლიანი, 2003, გვ. 49-50). ა. ინაიშვილი ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ პეტრას (ციხისძირის) ეპისკოპოსთა სამწყსო უნდა ყოფილიყო ღაზიკის სამხრეთით



მოსახლე ქართველური ტომების ცნობილი პუნქტები - რიჭანა, ათინა, არქაბი და აფსარი, ასევე მათ გარშემო მდებარე ტერიტორიები (ინაიშვილი, 1971, გვ. 99).

ვფიქრობთ, რომ თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ პეტრას საეპისკოპოსო კათედრის მდებარეობა უფრო მიზანშეწონილად ხოფაში ჩანს, რომელიც ზემოთდასახელებული რეგიონების მახლობლად მდებარეობს და მათზე კონფესიონალური გავლენის შენარჩუნებისათვის ის უფრო მოსახერხებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა VI საუკუნიდან ეს ტერიტორიები აღარ შემოდის ეგრისის სამეფოს იურისდიქციაში.

ასეთ შემთხვევაში ციხისძირის სახით ჩვენ მივიღებთ ეგრისის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს, რომლის შესახებ ინფორმაცია წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება. თუმცა გ. გრიგოლიამ უკვე გამოთქვა ვარაუდი ციხისძირის იგივეობის შესახებ პტოლემეაიოსის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოხსენებულ მეორე სებასტოპოლისთან (გრიგოლია, 1994, გვ. 89).

რაც შეეხება პეტრაში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების თარიღს, ნ. ლომოურის მიხედვით ის VI საუკუნეში უნდა შექმნილიყო, როდესაც აქ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) ინიციატივით დაარსდა ქალაქი. ნ. ლომოური ვარაუდობს, რომ საეპისკოპოსო შესაძლოა თავდაპირველად არქეოპოლისში იყო და შემდგომ მას ჩაენაცვლა პეტრა (Ломоури, 1993, გვ. 115).

ფასისი - ზღვისპირა ციხე-ქალაქთაგან პირველი გადავიდა ლაზეთის სამეფოს სრული კონტროლის ქვეშ და IV-V საუკუნეებში ეგრისელთა, ხოლო VI-VIII საუკუნეებში და VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიელთა ერთ-ერთ ძირითად საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. აღნიშნულ ეპოქაში ფასისი მოხსენიებულია შემდეგ წერილობით წყაროებში: თემისტოლის (IV ს.) „სიტყვები“, კასტორიუსის (IV ს.) „Tabula Peutingeriana“, ამიანე მარცველინუსის (IV ს.) „ისტორია“, ანონიმი ავტორის (V ს.) „ევქსინის პონტოს პერიპლუსი“, ზოსიმეს (VI ს.) „ახალი ისტორია“, სტეფანე ბიზანტიელის (VI ს.) „ეთნიკა“, აგათიას



(VI ს.) "იუსტინიანეს მეფობის შესახებ," მენანდრეს (VI ს.) "ისტორია," ეპიფანე კონსტანტინეპოლელის (VIII ს.) „ანდრიას ცხოვრება“ (გამყრელიძე, 2002, გვ. 73; გამყრელიძე, 1998, გვ. 4-5).

IV-VIII საუკუნეების ფასისის ზუსტი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. ადგილი „ნოჯიხური“, რომელიც დიუბუა დე მონპერემ არიანესეულ ფასისად მიიჩნია და სადაც ნ. ლომოურმა და გ. გრიგოლიამ ოთხი ბორცვი და გვიანანტიკური არქეოლოგიური მასალები დააფიქსირეს, ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საცდელი თხრილებით შეისწავლა. აქ იპოვნეს ხელოვნური მოზაიკის კვალი. სიძველეთმცოდნე ბ. გოგოლიშვილს ამ მიდამოებში სამი ნაჯიხური აქვს აღნიშნული თავის არქეოლოგიურ რუკაზე (მიქელაძე, 1978, გვ. 11-12). გამოითქვა მოსაზრება, რომ „საგოროდოს ტყეში,“ აეროდრომის და პატარა ფოთის სანერგის მიდამოებში შეიძლება დადასტურდეს ბიზანტიური ხანის ქალაქის კვალი. სწორედ ამ ადგილებში იქნა ნაპოვნი IV-V საუკუნეებით დათარიღებული წველგამოყვანილი ამფორები, გვერდებაკეცილი კრამიტები, აგურები და სხვა არქეოლოგიური მასალა (მიქელაძე, 1978, გვ. 20, 88-89; გამყრელიძე, 2002, გვ. 84).

ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალები (სამაროვნის ნაშთები; ქვით, აგურით და კირხსნარით აგებული შენობის ნანგრევები; აგური და კერამიკის ფრაგმენტები) აღმოჩნდა „სიმაგრეს“ ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ამ ეპოქის კერამიკის ფრაგმენტები გამოვლინდა: პალიასტომის ტბასთან, კაპარჭინაზე ახალი ხიდის მშენებლობისას, ასევე პალიასტომთან მდ. ფიჩორის და მდ. შავის შერთვის მონაკვეთებში, ფოთის აეროდრომის ტერიტორიაზე (გამყრელიძე, 2002, გვ. 84-85). საყურადღებო მონაცემები მოიტანა პალიასტომის ტბის არქეოლოგიურმა შესწავლამ, სადაც ზღვის შესართავიდან დაახლოებით კილომეტრზე დადასტურდა III-VIII საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც ტბაში 900 კვადრატულ მეტრზე, ხოლო ნაპირზე 500 კვადრატულ მეტრზე ვრცელდება.



აქ ყველაზე მრავალრიცხოვანია კერამიკული ნაწარმი, ასევე ნაპოვნია ხის ძელების და დამწვარი ბათქაშის ნაშთები. შესაძლოა აგურით ნაგებ პირველ სართულზე თიხით შეღესილი და კრამიტით დახურული ხის ძელების ნაგებობა იდგა. სამოსახლოზე გვხვდება მცირე რაოდენობის წითელლაკიანი კერამიკა, რომლის ანალოგიები (IV-V სს.) მოპოვებულია გონიოში, ციხისძირში, სოხუმში, ნოქალაქეში, ქუთაისში და სხვაგან. „ნატეხებზე“ აგრეთვე წარმოდგენილია მინის მასალები, ძირითადად ფეხიანი სასმისები, რომლებიც IV-VIII საუკუნეებით თარიღდება და გავრცელებულია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში. „ნატეხების“ ნამოსახლარზე მიკვლეული იქნა ორმოსამარხის ნაშთები, რომლის ინვენტარი იუსტინიანე II (565-578 წწ.) მონეტის მიხედვით VI საუკუნეს მიეკუთვნება. ივარაუდება, რომ პალიასტომის ტბის ძველი ნამოსახლარი პროკოფი კესარიელის და აგათიას მიერ აღწერილი ფასისის ნაშთებია (გამყრელიძე, 2002, გვ. 87-101).

მ. ბერძნიშვილი ზოსიმეს ცნობაზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დროს (323-337 წწ.) ფასისი გამაგრებული პუნქტია (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 149). ფასისი არ ჩანს IV საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ კასტორიუსის რუკაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აქ ამ დროს აღარ არის რომაული გარნიზონი (თოდუა, 2003, გვ. 35-36). ფასისი არც V საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებულ „Notitia dignitatum“-შია ნახსენები (ლომოური, 1989, გვ. 67-72). შესაბამისად, ფიქრობენ, რომ ლაზიკის სამეფოს ცენტრში მდებარე რომაული ციხე-სიმაგრე გაუქმდა IV საუკუნეში (Леквинадзе, 1969, გვ. 82). ვარაუდობენ, რომ მისი დაცვა IV საუკუნიდან მთლიანად დაეკისრა ეგრისის სამეფოს (თოდუა, 2003, გვ. 36).

უშუალოდ ფასისის შესახებ პირდაპირი ცნობები წერილობით წყაროებში VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის ომამდე არ გვხვდება, მაგრამ აშკარაა, რომ ფასისი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქია. ძირითადი სამდინარო მაგისტრალის – ფასისის (რიონ-ყვირილას) შესართავთან



მდებარე ქალაქის მეშვეობით ხორციელდებოდა საეკონომიკური ურთიერთობა შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან. V საუკუნის ანონიმის ცნობით ფასისში თავს იყრის 60 ენაზე მოუბარი ტომი, მათ შორის ინდოელები და ბაქტრიელები (Anonym. PPE, § 3, გვ. 86), რაც ადასტურებს, რომ აქ დიდი სავაჭრო ცენტრი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და შორეული ქვეყნების ვაჭარ-ხელოსნებისათვის. ფასისის მნიშვნელობაზე მიუთითებს ასევე მის მახლობლად არსებული, III-IV საუკუნეებში ფართოდ ცნობილი რიტორიკული უმაღლესი სკოლა. მოგვიანებით ფასისი ლაზიკის სამიტროპოლიტოს რეზიდენცია გახდა (ლომოური, 1968, გვ. 97; ბერძნიშვილი, 1969, გვ. 119; კვიციანი, 1994, გვ. 83-85).

მენანდრეს ცნობის (Menandr. fr. 3) თანახმად, 558 წლისათვის ფასისი ბიზანტიელთა ხელშია. მომდევნო პერიოდშიც ის ბიზანტიელთა სამფლობელოა. 650 წლისათვის ის ისევ სამიტროპოლიტო ქალაქია. 717 წლისთვის ფასისში კვლავ ბიზანტიური გარნიზონი დგას (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 175-187).

სამწუხაროდ რაიმე არქეოლოგიური მასალა ფაზისის სამიტროპოლიტო ტაძრის და რეზიდენციის შესახებ არ გავაჩნია. არც წერილობითი წყაროები გვაწვდიან მათ შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას.

სებასტოპოლისი – გუთების შემოსევების შემდეგ დაზიანებული ციხე-ქალაქი (Воронов, 1980, გვ. 83) III-IV საუკუნეების მიჯნაზე კვლავ აღდგენილია. IV საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ კასტორიუსის რუკაზე სებასტოპოლისი აფსაროსის მსგავსად შეწყვილებული კოშკებით არის დატანილი (თოდუა, 2003, გვ. 35-36). სებასტოპოლისის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ასევე პროკოპი კესარიელი (BG, VIII, 4), იუსტინიანე (ნოველა, XXVIII), ეპიფანე კონსტანტინეპოლელი ("ანდრიას ცხოვრება").

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოიყოფა IV-V საუკუნეების კულტურული ფენა, რომელიც ადასტურებს ქალაქის აღმავლობას და

ცხოვრების უწყვეტ კვალს (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 57; **მუსხელიშვილი**, 1991, გვ. 126; თოდუა, 2003, გვ. 36-38; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 119; აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 126; **Воронов**, 1980, გვ. 15).

V საუკუნის დასაწყისში სებასტოპოლისის ციხე-სიმაგრეში მიცვალებულნი იმარხებიან, რაც რაღაც სახით მისი მნიშვნელობის დაკარგვაზე მიუთითებს (**Шервашидзе**, **Соловьѣв**, 1960, გვ. 178; **Анчабадзе**, 1964, გვ. 198). მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნეში საბასტოპოლისსა და პიტიუნტში იდგა რომაული გარნიზონები (თოდუა, 2003, გვ. 38; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 119-120; **Воронов**, 1980, გვ. 89; **Леквинадзе**, 1969, გვ. 84). ძირითადად ასეთი მოსაზრება V საუკუნის Notitia Dignitatum-ის მითითებას ეყრდნობა, რომლის მიხედვით სებასტოპოლისში cohors prima claudia equitata იდგა (Not. dign. or. XXXVIII).

ეფიქრობთ, რომ IV საუკუნის 70-80-იან წლებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჰუნების შემოსევის შემდეგ, რასაც რომაულ ციხე-სიმაგრეთა განადგურება მოჰყვა, ძნელი წარმოსადგენია აქ ბიზანტიელთა ყოფნა. მითუმეტეს, რომ IV-V საუკუნეები ლაზეთის განსაკუთრებული ძლიერების ხანაა და ზღვისპირა ქალაქები უპირატესად აგრარული ხასიათის ქალაქებს წარმოადგენდნენ, თუმცა მათ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან (თოდუა, 1988, გვ. 90-96).

სებასტოპოლისში ბიზანტიელები კვლავ VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით გამოჩნდნენ (**Procop. DE BG**, VIII, 4), როდესაც ირანის შაჰმა ხოსრომ 541-542 წელს გადაწყვიტა სებასტოპოლისისა და პიტიუნტის დაკავება და ბიზანტიელთა განდევნა. მაგრამ ბიზანტიელებმა დაასწრეს, დაანგრეს ციხე-სიმაგრე და ტრაპეზუნტში გადაიხვეწნენ (**Леквинадзе**, 1969, გვ. 84; **Шервашидзе**, **Соловьѣв**, 1960, გვ. 178) ამის შემდეგ იუსტინიანეს მიერ ახალი, შედარებით მცირე ციხესიმაგრე (0,6 ჰა) აიგო (**Леквинадзе**, 1969, გვ. 84) და აღდგა ბიზანტიური სამხედრო ბაზა. იუსტინიანემ მთელი



სებასტოპოლისი განაახლა, უძველესი გახადა, გაამშენებინა და ღირსშესანიშნავ ქალაქად აქცია (Procop. De AEDIFICIIS, III, 7). ვ. ლექვინაძე თვლის, რომ პროკოპი კესარიელი ცდილობდა ესიამოვნებინა იუსტინიანესათვის, ამიტომ მისი ცნობები არ იმსახურებენ ნდობას. თავად იუსტინიანეს ნოველაში სებასტოპოლისი ციხე-სიმაგრედაა მოხსენებული (Novella XXVIII). მკვლევარი ფიქრობს, რომ სებასტოპოლისი შესაძლოა დიდ ქალაქად გადაიქცა VII-VIII საუკუნეებში. ეპიფანე კონსტანტინეპოლელი მას „დიდ სებასტოპოლისს“ უწოდებს. ეს მოვლენა შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო სებასტოპოლისში აფხაზეთის არქიეპისკოპოსის კათედრარეზიდენციის დამკვიდრებასთან (Леквинадзе, 1966, გვ. 204). ამ პერიოდის ქალაქის შესახებ არქეოლოგიური მასალები ძალზე მცირეა. ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვნია დიდი რაოდენობით მოზაიკის ქვები. სავარაუდოდ, აქ VII საუკუნეში ქრისტიანული ტაძარი იდგა. იქვე აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხები მეტყველებენ ციხე-სიმაგრის სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვაზე და მისი, როგორც საეკლესიო ცენტრის ფუნქციაზე (Воронов, 1980, გვ. 99-100).

პიტიუნტი – III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში პიტიუნტის მიმართაც დიდ დაინტერესებას იჩენს რომის ხელისუფლება, რაც მნიშვნელოვანი სააღმშენებლო საქმიანობით გამოიხატა (თოდუა, 2003, გვ. 34).

ნაქალაქარის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა: სწორკუთხა გეგმარების ციტადელი (ფართობი 2 ჰა.) და წრიული მოყვანილობის სავარაუდოდ სამოქალაქო დასახლების ტერიტორია (ფართობი 4,5 ჰა.) (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 69; სურ. 4; აფაქიძე, 1975, გვ. 82). ფიქრობენ, რომ თავისი ზომებით პიტიუნტი შეესაბამება იუსტინიანე კეისრის ნოველის განსაზღვრას, რომელიც მას ციხე-სიმაგრის სტატუსს ანიჭებს და არა ქალაქისას (Novella, XXXI; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 70).

ადრეული ეპოქის პიტიუნტის არქეოლოგიურ მასალათა შორის გამოირჩევა ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული



ნიეთები: ჯვრისგამოსახულებიანი კერამიკული ტურჭელი მინის სასმისები (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 250-521); ბერძნულენოვანი ქრისტიანული წარწერები ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკაზე (ქრისტეს სახელის საწყისის ორი ბერძნული ასოს მონოგრამა: "X", "P"; წარწერა "მე ვარ ალფა და ომეგა, დასასწყისი და დასასრული, ამბობს უფალი". იგივე მოზაიკის კიდევ ერთ წარწერაში "ორელი" და მისი ოჯახია მოხსენიებული) (Анчабадзе, 1964, გვ. 224-225); რკინის ჯვარი III საუკუნის მიწურულის ადრექრისტიანული სტელის სამალავ ბუდეში (ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი, 1997, გვ. 98).

IV საუკუნის პირველი მესამედით თარიღება ბიჭვინთის ე. წ. "ცალნავიანი ბაზილიკა". ესაა დიდი ზომის ეკლესია ნახევარწრიული აბსიდით, რომელიც სტრატოფილეს რეზიდენციად არის მიჩნეული. ეს ეკლესია მალევე ინგრევა და მასზე IV საუკუნის მეორე ნახევარში შენდება დიდი ბაზილიკა ბრწყინვალე მოზაიკური იატაკით, მარმარილოს სვეტებით და მდიდარი მორთულობით (ციციშვილი, 1977, გვ. 83-85; 100, სურ. 16).

არქეოლოგიური მონაცემებით დაფიქსირდა განადგურების კვალი, რომელიც პუნების შემოსევას უკავშირდება IV საუკუნის 80-იან წლებში. ამის შემდეგ დედა-ციხის ტერიტორია მიწითაა დაფარული და აქ V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნეში ეწყობა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი: ქურა-სახელოსნოები, კირის გამოსაწვაი ორმოები, ცისტერნები, მარანი, რაც მეტყველებს ციტადელის ცენტრალური ნაწილის სამეურნეო ხასიათზე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 69-70; აფაქიძე, 1975, გვ. 27, 131, 135).

რაც შეეხება IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნეში თავად ქალაქს, ამ საკითხთან დაკავშირებით გ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ პიტიუნტში საქალაქო ცხოვრება ჩამკვდარია და მისი აღმავლობა ბიზანტიელების აქტიურობასთანაა დაკავშირებული. მკვლევარი ასევე უარყოფს პიტიუნტის დაქვემდებარებას ლაზიკის სამეფოსა და აბაზგ-სანიგთა კონტროლისადმი და მას კაპადოკიის პონტოს, კერძოდ,



ნეოკესარიის სამიტროპოლიტოს მმართველობაში თვლიან, მან ასევე მიაჩნია, რომ IV საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის დასაწყისამდე პიტიუნტში უცხოური გარნიზონი არ დგას. ქალაქის სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის დაკარგვაზე საუბრობს ო. ლანჩავაც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 70,93; ლანჩავა, 1996, გვ. 32). სხვა მკვლევარებიც უარყოფენ VI საუკუნის დასაწყისამდე პიტიუნტში ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას (Меликишвили, 1959, გვ. 382; ლომოური, 1989, გვ. 74-75).

თუმცა არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად V საუკუნეში პიტიუნტში დგას ბიზანტიური გარნიზონი (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 191-193; Леквинадзе, 1969, გვ. 85). ერთ-ერთ არგუმენტად გამოყენებულია V საუკუნის ბიზანტიელი ავტორის თეოდორიტე კვირელის ცნობა რომაელთა სამფლობელოს და პონტოს უკიდურეს საზღვარზე – პიტიუნტში იოანე ოქროპირის გადასახლებასთან დაკავშირებით (Theod., V, 34). ფიქრობენ, რომ პიტიუნტი სწორედ ბიზანტიას ეკუთვნის, თორემ სხვაგვარად საიმპერატორო კარი ვერ გასცემდა ბრძანებას ეპისკოპოსების აქ გადმოსახლების თაობაზე (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 111-119; თოდუა, 2003, გვ. 36-38).

შევნიშნავთ, რომ პიტიუნტის ეკლესიის ნეოკესარიის სამიტროპოლიტოზე იერარქიული დამოკიდებულება (ამირანაშვილი, 1971, გვ. 122, 137) არ ნიშნავს მაინცდამაინც ქალაქის ან რეგიონის ბიზანტიაზე პოლიტიკურ დამოკიდებულებას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარია არა საერო, არამედ სასულიერო პირის გადმოსახლებაზე, რომლის კონტროლი სწორედ პიტიუნტის სასულიერო ხელისუფლებას ევალება. ვფიქრობთ, რომ დასახლებული არგუმენტი არ გამოდგება აქ ბიზანტიური გარნიზონის ყოფნის დადასტურებისათვის. არც მაინცდამაინც რომაელთა სამფლობელოს უკიდურეს საზღვრად პიტიუნტის მოხსენიებაა მისი იმპერიის ფარგლებში არსებობის საბუთი. ბიზანტიისათვის ლახეთი ვასალური სახელმწიფოა, მას

ემორჩილება და მთელი ქვეყანა შეიძლება ჩაითვალოს მისთვის სამფლობელოდ (ჭუმბურიძე, 2009, გვ. 114).

არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ V საუკუნის პიტიუნტში შემოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქცია: წითელლაკიანი კერამიკა, „ლურჯ ხალიანი“ და ბადისებრორნამენტიანი მინის ჭურჭელი და სხვა ნაწარმი (თოდუა, 1988, გვ. 91; თოდუა, 2003, გვ. 37). თუმცა შენიშნავენ, რომ V საუკუნისათვის აქ ადგილობრივი ხელოსნური წარმოება თითქმის არ დასტურდება, რაც აგრარიაზაციისა და ნატურალიზაციის პროცესის გაღრმავებაზე მეტყველებს და სამოქალაქო მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო დარგების წამყვან როლზე მიუთითებს. აღნიშნულის საფუძველზე ფიქრობენ, რომ IV-V საუკუნეებში ეგრისის ზღვისპირა ცენტრები აგრარული ხასიათის ქალაქებს წარმოადგენენ (თოდუა, 1988, გვ. 93-96).

პიტიუნტი ამ დროს აგრეთვე ინარჩუნებს საეკლესიო ცენტრის ფუნქციასაც. ამაზე მიუთითებს თეოდორიტე კვირელის V საუკუნის ცნობა პიტიუნტში იოანე ოქროპირის გადასახლებასთან დაკავშირებით (Theod., V, 34). აღნიშნულის დასტურია ასევე IV საუკუნის ეკლესიათა ადგილზე ახალი, V საუკუნის ეკლესია დასავლეთის ნავის სამხრეთ ბოლოში აგებული სანათლავით (ციციშვილი, 1977, გვ. 100; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 170).

ბიზანტიელები პიტიუნტში VI საუკუნის დასაწყისში დაბრუნდნენ, მაგრამ 542 წელს სპარსელთა შემოსევის გამო დაანგრეს ციხესიმაგრე და ტრაპიზონში გადავიდნენ (Procop., De BG, VIII, 4). მომდევნო ხანაში ბიზანტიელთა აქტიურობაზე მეტყველებს მათი სამშენებლო-ადგენითი სამუშაოების კვალი (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 70-71). ამავე დროს იწყება საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება. იგება ახალი ტაძრები და პიტიუნტი სატაძრო ქალაქად გადაიქცევა. VII-VIII საუკუნეების ბიჭვინთა საეკლესიო ცენტრია (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 173; ლანჩავა, 1996, გვ. 32).

ვარდციხე-როდოპოლისი – ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ქალაქია, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან



სამხრეთ-დასავლეთით, 12 კმ-ის დაშორებით, მდინარეების ურბანული ზონიდან და ხანისწყალის ხეობის შესართავთან, სოფ. ვარციხის ტერიტორიაზე (ჯაფარიძე, 1989, გვ. 3). აღნიშნული იდენტიფიკაცია ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 308-311; ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 55).

ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში როდოპოლისი მრავალგზის მოიხსენიება აღმატებული ეპიტეტით: „უდიდესი და ძველი“, „შესანიშნავი“ (Corpus iuris civilis, Novella XXXI; Procop. De BP, II, 290; Agath. hist. IV, 13). VII-X საუკუნეებით დათარიღებულ ეკთესისებში მითითებულია როდოპოლისის საეპისკოპოსო (Notitia, I-VII, VIII, IX).

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ვარციხე მართლაც შესანიშნავი ქალაქი უნდა ყოფილიყო, რომელიც დიდი სამიწათმოქმედო რაიონის წარმონაქმნი ჩანს. მის გარშემო ფართო, უხემოსავლიანი, ჯანსაღი ქვეყანაა. მასზე გადიან სახმელეთო გზები და სწორედ აქედან არის დიდი ხომალდებისათვის სანაოსნო მდ. ფაზისი (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 444-445). სამი მდინარის ხერთვისში მდებარე ქალაქი თავისებურ საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა ამ მდინარეთა ხეობებით მომავალი გზებისათვის (ლომოური, 1973, გვ. 179; ლომოური, 1968, გვ. 99).

ადრეშუასაუკუნეების ვარციხე, როგორც ჩანს ვაკეზე განლაგებულ სამოსახლოთა ცენტრია, რომელთა ნაშთები სხვადასხვა მიზეზების გამო ცუდად შემონახა (ჯაფარიძე, 1977, გვ. 49). თავად ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამოსახლოს გაჩენის თარიღის შესახებ მსჯელობა ძნელია არქეოლოგიური მასალების მიხედვით, რადგან გათხრებისას ადრეული ხანის საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები ცოტაა გამოვლენილი. მათგან აღსანიშნავია რიყის ქვის კედლის ფრაგმენტი, კვადრატული ფორმის აგურით ნაგები სვეტის ძირით, რომელიც სავარაუდოდ ძველ ზღუდეზე მიდგმულ ნაგებობას (ყაზარმას?) წარმოადგენდა და წრიულად მოწყობილი აგურ-კრამიტის ფენა, რომელიც შეიძლება აბანოს არსებობის მანიშნებელი იყოს. ფიქრობენ ასევე, რომ ნოქალაქევის მსგავსად



საცხოვრებელ ნაგებობათა ნაწილი ხისაგან იქნებოდა აგებული. შესაძლოა ქვის საძირკვლით (ჯაფარიძე, 1989, გვ. 18-19; ჯაფარიძე, 1974, გვ. 103; Джапаридзе, 1992, გვ. 235). ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ ვარდციხელები ქალაქის გალავნის შიგნით ცხოვრობდნენ, გარშემო კი მოსახლეობა არსებობდა სოფლების სახით (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 445). აღსანიშნავია, რომ ვარდციხის მშენებლობისას წყალქვეშ მოექცა ნაქალაქართან დაკავშირებული სამოსახლოების და სამაროვნის ნაწილი (ჯაფარიძე, 1975, გვ. 30).

როდოპოლისში ცხოვრების ძირითად ეტაპად ახ. წ. IV-VI საუკუნეები მიიჩნევა. თუმცა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ცალკეული ფენების და დონეების გამოყოფა. ძირითადად დამატარილებელ მასალას იმპორტული ნაწარმი წარმოადგენს. მრავლადაა წითელლაკიანი ჯამების მოგვიანო ტიპები, რომლებიც V-VI საუკუნეებით თარიღდება. სინოპური ამფორების ფრაგმენტები კი IV საუკუნეს მიეკუთვნება. IV საუკუნის მეორე ნახევრით განისაზღვრება ლურჯი მინისაგან დამზადებული დოქების ფრაგმენტები (ჯაფარიძე, 1999, გვ. 94-95).

ვარდციხე მდინარეთა ხერთვისში, კონცხზეა განლაგებული, საიდანაც იწყება ტერასული შემადგენლობა. შესაბამისად, დასაველეთიდან და ჩრდილოეთიდან ქალაქი მიუვალი იყო. დანარჩენი მხრივ კი მას ირგვლივ ზღუდის გარეთ თხრილი შემოუყვებოდა. აღმოსავლეთის მხრიდან გაშლილი ვაკეა და ეს მხარე ადვილად მისადგომი იყო მტრისათვის (Procop. De BG, VIII, 13). ამის გამო სპარსელთა შემოსევისას VI საუკუნის შუა ხანებში ლაზებმა როდოპოლისი მიწასთან გაასწორეს (ჯაფარიძე, 1974, გვ. 84).

ვარდციხის ნაქალაქარი სამი ნაწილისაგან შედგება: შემადგენულ რელიეფზე მოწყობილი ციტადელი და გალავნით ორ ნაწილად გაყოფილი - „ქვედა ქალაქი“ (Джапаридзе, 1992, გვ. 235), თუმცა ჭირს განსაზღვრა შემდგომში ციტადელად გამოყოფილი მონაკვეთის ადრეული გეგმისა. არ გამოირიცხება, რომ შემადგენული ადგილი თავიდანვე იყო იზოლირებული



და წარმოადგენდა ციტადელს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 99-100). ვარდციხის I სამშენებლო პერიოდი IV საუკუნით, II – ზოგადად V საუკუნით, ხოლო III სამშენებლო პერიოდი V-VI საუკუნეთა მიჯნით არის დათარიღებული (ჯაფარიძე, 1999, გვ. 99-100).

ვარდციხე აკონტროლებდა დიშის ქვეყანას ობხითურთ შორაპნის საზღვრამდე. ფუნქციის მიხედვით როდოპოლისი სამეფო ციხეა, რომელიც ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი და პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემების მნიშვნელოვანი ნაწილია (ჯაფარიძე, 1989, გვ. 132-142) და სწორედ ეგრის-ლაზეთის სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისადაა აღმოცენებული. ის ფარავს აღმოსავლეთის და სამხრეთის მიმართულებებს.

შეენიშნავთ, რომ ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილში, გლობალური სტრატეგიის გათვალისწინებით ვარდციხე კარგავს სტრატეგიული ფორპოსტის მნიშვნელობას და ლაზეთის ხელისუფლებაც იძულებულია იმოქმედოს არსებული რეალობით – თავად დაანგრის „უდიდესი“ და „შესანიშნავი“ ციხე-ქალაქი. ლაზების ასეთი ქმედება ფრიად აკვირვებს ნ. ბერძენიშვილს, რომელიც ფიქრობს, რომ ეს ციხე იმიტომ ინგრევა, რომ სპარსელებმა არ დაიკავეთ ის და ფეხი არ მოიკიდონ აღნიშნულ რეგიონში (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 445).

ვარდციხე VII-X საუკუნეებში საეკლესიო ცენტრი იყო, სადაც როდოპოლისის ეპისკოპოსი იჯდა (Notitia, I-VII, VIII, IX), მაგრამ შესაბამისი ხანის საეპისკოპოსო ტაძარი ჯერ არ გამოვლენილა (ჯაფარიძე, 1989, გვ. 143). ვარაუდით, ტაძარი „ქვედა ქალაქის“ ცენტრალურ ნაწილში უნდა იყოს. ეპქარისტული ხასიათის წარწერიანი მინის ჭურჭლის ფრაგმენტებითა და სხვა არქეოლოგიური მასალებით აქ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება V საუკუნიდან დასტურდება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 101).

ქუთაისი - ეგრისის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების თანახმად, IV-VIII საუკუნეებში ეგრისის დედაქალაქი ნოქალაქე-არქეოპოლისი იყო (ლომოური, 1968, გვ. 97-98; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 5, 12; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 109; ჯანაშია, 1952, გვ. 308-312; ლომიტაშვილი, 2003, გვ. 5). ნოქალაქევის მთავარ ქალაქობას, ანუ შესაძლო დედაქალაქობას აღნიშნავს ვ. ჯაფარიძე (ჯაფარიძე, 1999, გვ. 91). მის პოლიტიკურ ჰეგემონობაზე საუბრობს ნ. ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 466). მკვლევართა ამგვარი მოსაზრება ძირითადად დაფუძნებულია ბიზანტიური წყაროების (VI ს.) ცნობებზე, რომლებიც არქეოპოლისს „ძალიან გამაგრებულს“ და „ძველ სიმაგრეს“ უწოდებენ, ხოლო პროკოპი კესარიელი ერთგან პირდაპირ „მთავარ და უდიდეს ქალაქად“ მოიხსენიებს (Procop. De BG, VIII, 13).

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული შენიშვნები თავიდანვე გამოითქვა გაერთიანებული ეგრის-ლაზიკის დედაქალაქად ნოქალაქევის არჩევასთან დაკავშირებით. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ „ეგრისის სამეფოს ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი მოხირისის მხარეზე მოდიოდა. ამიტომ ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი აქ ყოფილიყო. ასეთი ცენტრის მნიშვნელობა, შესაძლებელია, ჰქონოდა მხოლოდ ქუთაისს... არქეოპოლისი... ერთი დღის სავალით დაშორებული მოხირისის მხარეს. რიონის ვაკეზე გამავალი მთავარი მაგისტრალური გზებისაგან მოშორებით ვერ იკისრებდა ეგრისის სამეფოს ეკონომიკური ცენტრის როლს. ის, რომ... არქეოპოლისი-ნოქალაქევი მაინცდამაინც სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი, ასახსნელია და ამ გარემოებას, როგორც ჩანს, თავისი ღრმა საფუძველი ჰქონდა“ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 123). იგივეს ფიქრობდა ვ. ლექვინაძეც (Леквинадзе, 1961, გვ. 139). ამასთან დაკავშირებით პ. ზაქარაია მიუთითებდა, რომ ქალაქი გზას



საჭიროების შემთხვევაში თავად „მოქაჩავს“ ახლო მანძილიდან ნოქალაქევი ეს საკითხი დადებითად უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ IV-VI საუკუნეებში ძირითადი გზა არა დაჭაობებული რიონის პირას, არამედ მთისწინა ზოლზე გადიოდა ნოქალაქევის ახლოს (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 7-8).

ასევე გამოითქვა ეჭვი იმის თაობაზეც, რომ ნოქალაქევის „გრანდიოზული თავდაცვითი ნაგებობანი“ არ შეესაბამება ქალაქის ცხოვრების ინტენსივობას, რომ კულტურული ფენები ღარიბია და, რომ ეს ქალაქის „წმინდა თავდაცვით“ ფუნქციაზე მიუთითებს, რაც მისი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით აიხსნება. შესაბამისად, გაკეთდა დასკვნა, რომ „ნოქალაქევი აქ არა იმდენად ცხოვრობდნენ, რამდენადაც მსახურობდნენ“ (Леквинадзе, Хведелидзе, 1981, გვ. 121-148). თუმცა ეს მოსაზრებები უარყო ნ. ლომოურმა (ლომოური, 1987, გვ. 17-44).

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ დედაქალაქად ნოქალაქევის არჩევაში მნიშვნელობა თავდაცვისუნარიანობას ჰქონდა და ეს არგვეთის ტერიტორიის დაუფლებისათვის ეგრის-იბერიის პოლიტიკური მეტოქეობით იყო გამოწვეული. მკვლევარი მიუთითებს, რომ ასეთ პირობებში არგვეთის მახლობლად ეგრისის სამეფოს ცენტრის არსებობა არ უნდა ყოფილიყო მიზანშეწონილი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 378). ქუთაის-ნოქალაქევის მეტოქეობის ერთ-ერთ მიზეზად "ქუთაისის ქვეყნის" ქართიზაციას თვლის გ. გაბუნია (გაბუნია, 1996, გვ. 252).

გარკვეული შენიშვნები ნოქალაქევის დედაქალაქობის მიმართ გამოთქვა ო. ლანჩავამ, რომელიც მიუთითებს, რომ ნოქალაქევის აღმოცენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია და არა საერთაშორისო მიზეზებით ნაკარნახევი, თუმცა დაუჯერებლად მიაჩნია ასე ერთბაშად და პირდაპირ ნოქალაქევის დედაქალაქად გადაქცევა. ასევე მკვლევარის აზრით ოთხსაუკუნოვან (IV-VIII სს.) კულტურულ ცხოვრებას უნდა შეექმნა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაუწყებელი მძლავრი და მდიდარი



კულტურული ფენები, რაც საბოლოოდ განსაზღვრავდა ქალაქის სტატუსს და შექმნიდა სარწმუნო სურათს ამ ქალაქს როლისა და ადგილის შესახებ ეგრისის სამეფოს საქალაქო სისტემაში. ო. ლანჩავა არც იმ დებულებას იზიარებს, რომლის მიხედვითაც ნოქალაქევი მოსახლეობა უფრო მსახურობდა ვიდრე ცხოვრობდა, რადგან თუკი მსახურობდნენ, მაშასადამე ცხოვრობდნენ კიდევ. მისთვის ასევე აუხსნელია, თუ ნოქალაქევის გადგაქალაქებაში როლი ეგრისის აღმოსავლეთი რეგიონების ქართიზაციამ და შესაბამისად არგვეთისათვის მეტოქეობამ ითამაშა, რატომ გაჭიანურდა ეს პროცესი IV საუკუნემდე, როცა ეგრისის სამეფოს ძლიერება გამორიცხავს გარეშე ძალების აქტიურ ზემოქმედებას აღმავლობის გზაზე მდგარი ქვეყნის ცხოვრებაზე. მკვლევარის ვარაუდით ნოქალაქევის დედაქალაქობა ბიზანტია-ირანის აგრესიას უკავშირდება და V-VI საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტიის ეგრისში საბოლოო გაბატონების შედეგია (ლანჩავა, 1996, გვ. 59-60). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ო. ლანჩავა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ IV-V საუკუნეებში ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი ქუთაისია, რომელსაც პოლიტიკური ცენტრებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი აქვს, კერძოდ, ქალაქი აღმავლობის გზაზეა, აქვს მძლავრი შიდაკოლხური კავშირები, ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო ორბიტაში, თანადროულ ქალაქთა შორის ყველაზე მასშტაბურია და სამეფოს ეკონომიკური და ბუნებრივი ცენტრია (ლანჩავა, 1996, გვ. 134, 221-222). ვფიქრობთ, რომ ნიშანდობლივი მოსაზრებაა, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტებზე არის დაფუძნებული და შესაბამისად, ჩვენც დავეთანხმეთ მას (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 107).

ეს მოსაზრება გაიზიარა ასევე გ. გაბუნიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა გადაისინჯოს ტრადიციული თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (გაბუნია, 1996, გვ. 251-252).

ჩვენი ვარაუდით, დღეისათვის არსებული მონაცემები იძლევა იმის საშუალებას, რომ IV-V საუკუნეებში ვიფიქროთ სწორედ



ქუთაისის პოლიტიკური დაწინაურება: 1. ქალაქი მდებარეობს ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რეგიონში – მოხირისში; 2. დღას ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებისა და მაგისტრალების გზაჯვარედინზე; 3. აქვს დედაქალაქობის უძველესი ტრადიცია, რაც ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ წყაროებშია დაფიქსირებული; 4. გააჩნია მართლაცდა შთამბეჭდავი საფორტიფიკაციო სისტემა; 5. აგებულია უზენაეს ხელისუფალთა რეზიდენცია (ციხე-დარბაზი); 6. არსებობს IV-V საუკუნეების ყველაზე დიდი და მასშტაბური ტაძარი; 7. მოპოვებულია მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მეტყველებს ქალაქში ეკონომიკური პროცესების განვითარების ინტენსივობაზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ არგვეთისათვის ბრძოლის გამო დედაქალაქის ნოქალაქევეში გადატანა არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. მიგვაჩნია, რომ ამ მეტოქეობას სწორედ ქუთაისის სასარგებლოდ უნდა ეთამაშა, რადგან აქედან გაცილებით ეფექტურად განხორციელდებოდა სადავო ტერიტორიის შესანარჩუნებელი ღონისძიებები. ნოქალაქევეში გადასვლა ფაქტობრივად ამ რეგიონის დაკარგვის ნიშანი იქნებოდა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ქართლის მოძალების საწინააღმდეგოდ სწორედ ქუთაისის მთავარი ქალაქობა იქნებოდა უფრო მართებული და პრიორიტეტული (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 108).

ასევე აღვნიშნავთ, რომ არსებობს თ. თოდუას მიერ ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრება ნოქალაქევე-არქეოპოლისში რომაული გამაგრებული პუნქტის არსებობის შესახებ, რომელიც ვაშნარისა და სოფ. მოედნის საფორტიფიკაციო ნაგებობებთან ერთად შედიოდა რომაელთა პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის სახმელეთო ხაზის ერთ-ერთი მონაკვეთში, რომლის მეშვეობითაც რომი აკონტროლებდა ლაზიკის შიდა რაიონებს (გაყრელიძე, თოდუა, 2006, გვ. 68; თოდუა, 2007, გვ. 71). ეს მოსაზრება კიდევ ერთი არგუმენტია ქუთაისის სასარგებლოდ. ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია ქვეყნის მთავარი ქალაქი რომაელთა სამხედრო ბანაკში ყოფილიყო.

ქუთაისი ეგრისის არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული, არამედ რაღაც სახით რელიგიური ცენტრად უნდა ყოფილიყო. ამ მიმართებით საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა. აქ აღმოჩენილი საკულტო ნაგებობები ადასტურებენ, რომ ქრისტიანობა IV-V საუკუნეებში მტკიცედაა დამკვიდრებული აღმოსავლეთ ეგრისში.

"სამლოცველო სახლი" - ქუთაისის შიდა-ციხეში (ციტადელი) აღმოჩნდა IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა. მისი სიგრძე 26 მეტრია, სიგანე აღმოსავლეთის კედლისა 12,3 მეტრი, ხოლო დასავლეთი კედლისა 10,3 მეტრი. შესაბამისად, ნაგებობა აღმოსავლეთით ოდნავ გაშლილია. ჩრდილოეთის კედელში გამოჩნდა კირქვის დიდი მონოლითისაგან გამოკვეთილი კარის ზღურბლი, კარის ჩარჩოს ჩასამაგრებელი ორი ცილინდრული ფოსოთი. შენობის საერთო ფართობი 284 კვ. მეტრია, ხოლო ინტერიერის მოცულობა 227 კვ. მეტრი. კედლის სიგანე 1 მეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 60 სანტიმეტრი. კედელი აგებულია მცირე ზომის შუბლგამოყვანილი კირქვის ქვებით. ორფერდა სახურავი ხის კონსტრუქციებით უნდა ყოფილიყო გამართული და კრამიტით (მაღალბორიანი სოლენი და შეერილქიმიანი კალიპტერი) დახურული, რომელთა ნაშთები მრავლად აღმოჩნდა ნგრევის ფენაში. ინტერიერში რაიმე კონსტრუქციის კვალი არ დადასტურდა. ვერც იატაკის კვალი იქნა გამოვლენილი (ლანჩავა, 1996, გვ. 95; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 30-31).

ნაგებობა მარტივი კონსტრუქციისაა, რაც აძნელებს მისი ფუნქციის დაზუსტებას. ო. ლანჩავამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ის ადრინდელი ბაზილიკების ფორმას იმეორებს და არსებული მონაცემებით შეიძლება "სამლოცველო სახლად" ჩაითვალოს (ლანჩავა, 1996, გვ. 85). მისი თქმით, ამის მაგალითები ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურაში ცნობილია და ძველი ქართული ტერმინოლოგიით მსგავს ნაგებობას "ბაგინი"



ეწოდება (ლანჩავა, 2007, გვ. 114). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარმა თავიდანვე არ გამოორიცხა ამ ძველის სხვა დანიშნულებაც. მისი ფიქრით, შესაძლებელია ის სამხედროებისათვის განკუთვნილი ნაგებობა – "ყაზარმა" ყოფილიყო. შემდეგ ეს მოსაზრება მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რისი საფუძველიც გახდა ახ. წ. IV საუკუნის I ნახევრის დიდი ბაზილიკის აღმოჩენა (ლანჩავა, 2007, გვ. 114).

ციტადელის სამნავიანი ბაზილიკა – ქუთაისის შიდაციხეში (ციტადელი) თანამედროვეობამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია XIII საუკუნის წმინდა გიორგის დარბაზული სტილის ეკლესიამ. ეკლესიის ინტერიერში დამის გარეთ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისას გამოიკვეთა ძველი ეკლესიის ნაშთები. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აქ არსებობდა ორი სხვადასხვა დროის და განსხვავებული ტიპის საკულტო ნაგებობა რამოდენიმე სამშენებლო ეტაპით.

პირველი ეკლესია წარმოადგენს V–VI საუკუნეთა მიჯნით დათარიღებულ სამნავიან ბაზილიკას ნახევარწრიული შვერილი აფსიდებით (ტაბ. D). ბოლო წლების არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გაირკვა მისი ზუსტი ზომები—სიგრძე 12,5 მეტრი, სიგანე 8,1 მეტრი. კედლის სიგანე 86 სანტიმეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 60 სანტიმეტრი. ის ნაგებია კარგად გათლილი და თარაზულ რიგებად დალაგებული ქვის კვადრებით, რომელთა სიმაღლე 20 სანტიმეტრია. ქვების წყობა ერთიანია და დუღაბი თხელ ფენადაა ნახმარი. ეკლესიის კედლები შემორჩენილია სამხრეთითა და ჩრდილოეთით. დასავლეთის კედელი თავდაპირველი სახით არ არსებობს და აქ მხოლოდ საძირკველია გადარჩენილი. სამხრეთ კედელთან რელიეფის მიხედვით ორსაფეხურიანი ცოკოლია. ჩრდილოეთის კედელი პირდაპირ საძირკველსა და კლდეზე დგას, ამიტომ მას ცოკოლი არ დასჭირდა (ლანჩავა, 2007, გვ. 127).

ეკლესიის გეგმა გათხრების შედეგად სრულიად გაირკვა. ეს არის სამნავიანი ბაზილიკა ნახევარწრიული შვერილი



აფსიდებით, რომლებიც სრულად არის გადარჩენილი. მათზე დაშენებულია გვიანდელი ეკლესიის აფსიდი. აღნიშნული სტილი დამახასიათებელია ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ადრეული ხანისათვის (ლანჩავა, 2007, გვ. 127; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 31). ბაზილიკას არ გააჩნია ცალკე სათავსოები სამკვეთლოსა და სადიაკვნესათვის. ო. ლანჩავა ვარაუდობს, რომ ისინი აღდგენა-განახლების შემდეგ მიუმატეს. დასავლეთის კედლის შემორჩენილი წყობა განსხვავდება დანარჩენი კედლებისაგან და იგი განახლების დროინდელი უნდა იყოს. ამის თქმის უფლებას იძლევა ის, რომ კედელი მეორადი გამოყენების კვადრებითაა ნაგები. აქ უნდა ყოფილიყო ეკლესიაში შესასვლელი კარი, რომელიც შემორჩენილი არა არის. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ნაგებობის კედლების წყობა. სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლების ფრაგმენტების მიხედვით, ისინი ნაგებია კარგად დამუშავებული და ერთმანეთზე მჭიდროდ მორგებული კვადრებით. ყურადღებას იპყრობს კვადრების რიგების ჰორიზონტალობა და ერთიანი წყობა. დულაბიც თხლადაა გამოყენებული. ფიქრობენ, რომ ეს ნიშნები კედლების ადრეულობაზე მიუთითებს. ამის ნიშანი უნდა იყოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ სამკვეთლო და სადიაკნე ჯერ არ არის ცალკე სათავსოებად გამოყოფილი (ლანჩავა, 2007, გვ. 127).

ეკლესიის ინტერიერში სიმეტრიულად განლაგებული ოთხი სწორკუთხა ბურჯია. რომელთა შეერთების ადგილზე დამატებითი ორი მცირე ზომის ბურჯის ნაშთი აღმოჩნდა. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე შენობა ადრესაშუალო საუკუნეებში გავრცელებული ბაზილიკური სტილისაა და მისი თარიღი V-VI საუკუნეთა მიჯნით განისაზღვრა. სავარაუდოდ, ეკლესია დაინგრა VI საუკუნეში, როცა ბიზანტიელთაგან დამარცხებული ირანელები ტოვებენ ეგრისს. მისი აღდგენა VIII საუკუნეში არაბთა შემოსევის შემდეგ უნდა მომხდარიყო. შესაძლოა ის განახლებეს, როგორც სამეფო კარის ეკლესია და ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ახალი სათავსოები მიაშენეს. შიდაციხის ბაზილიკა ქართული



ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია და ის ნათლად მეტყველებს ქართული ქრისტიანული არქიტექტურის მადლობა დონეზე (ლანჩავა, 2007, გვ. 127-128; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 31).

აღნიშნული ძეგლების აღმოჩენის საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ IV-V საუკუნეებში ქრისტიანობა ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო ეგრისის-აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში და ნოქალაქევის რეგიონში, არამედ ქუთაისსა და მის მხარეში. შესაბამისად, ასევე არ გამოვრიცხეთ ქუთაისში რელიგიური ცენტრის არსებობა (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 31). ჩვენს მოსაზრებას საფუძველი განუმტკიცა ბოლო წლებში ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა.

დიდი ბაზილიკა – 2004 წელს ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო ბაგრატის ტაძრის ინტერიერის არქეოლოგიური კვლევა, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და რომლის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტაძრის იატაკქვეშ გამოვლინდა ოთხი დიდი სამშენებლო ფენა, რომელთაგან მეორეში აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის დიდი ბაზილიკური ტაძრის ნაშთები (ტაბ. III). შენობა ნაგებია ქვიტკირით და აქვს შესანიშნავი პიდრაფლიკურსნარიანი იატაკი. მისი სიგრძე 30 მეტრია, ხოლო სიგანე 15 მეტრი. თუ მინაშენებსაც მივათვლით, მაშინ ტაძრის სიგანე 25 მეტრს აღწევს. ტაძარს ჩრდილოეთიდან მიშენებული ჰქონდა სწორკუთხა ფორმის დიდი სათავსი, სავარაუდოდ სანათლავე (ბაპტისტერიუმი). მას ჰქონდა პიდრაფლიკურსნარიანი იატაკი და აგურით მოპირკეთებული სარიტუალო არხი, რომელშიც აღმოჩნდა IV-V საუკუნეების სამშენებლო კერამიკა (კრამიტები, აგურები) (ლანჩავა, 2007, გვ. 112-113; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358). მალე სანათლავეზე დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი სათავსი მიუმატებიათ, რომელშიც გადიოდნენ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაჭრილი კარით. ტაძარს მინაშენი (ჯვრჯვრობით გაურკვეველი დანიშნულების) უნდა ჰქონოდა სამხრეთიდანაც, რასაც ადასტურებს სამხრეთ კედელში დაფიქსირებული საკარგ ზღურბლი. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის თავდაპირველი



სახის სრული აღდგენა ვერ მოხერხდა, მისი გეგმა ძირითადად იკითხება. იგი ადრეშუასაუკუნეების სამნავიანი (სამნაწილიანი) დიდი ბაზილიკების ჯგუფს მიეკუთვნება. ტაძარი დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. მისი პასტოფორიუმები საკურთხეველის მხარეს გამოყოფილი არ არის, თუმცა იკითხება გარკვეული ფუნქციონალური დანიშნულების მინაშენების არსებობა. მაგალითად, ქუთაისის მსგავსად სანათლავი დადასტურებულია ბიჭვინთის, ნოქალაქევის და განთიადის ბაზილიკებზე (ლანჩავა, 2007, გვ. 112). ქუთაისის ბაზილიკას დასავლეთ საქართველოს შვერილავსიდიანი ძეგლების მსგავსად ასევე შვერილი ავსიდი უნდა ჰქონოდა, რომელიც ჯერჯერობით ვერ იქნა ნაპოვნი. თუმცა ძეგლის გათხრა ბოლომდე არ არის დასრულებული.

საინტერესოაა გადაწყვეტილი ტაძრის სივრცითი ორგანიზაციის საკითხი. ნაგების გამყოფ საყრდენებად გამოყენებულია სწორკუთხა სვეტები, რომელთაგან მხოლოდ ერთი წყვილის არსებობა დადგინდა ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში. ტაძრის მორთულების ელემენტებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა მისი იატაკი, რომელიც ღია ვარდისფერი, ჰიდრაულიკური (წყალგაუმტარი) ხსნარით არის დამზადებული (ლანჩავა, 2007, გვ. 113).

ქუთაისის ბაზილიკის სამშენებლო და ნგრევის ფენაში აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის მაღალბორტიანი სოლენის და შვერილქიმიანი კალიპტერის ფრაგმენტები, რაც დასტურია იმისა, რომ ტაძარი გადახურული იყო კრამიტით. სამშენებლო კერამიკა ასევე წარმოდგენილია გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მართკუთხა და სამკუთხა ფორმის აგურებით. სახურავის მორთულობიდან აღსანიშნავია რომბისებური ფორმის თიხის ფირფიტა-ანტეფიქსი, რომლის ზედაპირზე ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული (ტაბ. IV, სურ. 1). როგორც აღნიშნავს ო. ლანჩავა, ასეთი მასშტაბების ბაზილიკური ტაძარი შიდა ეგრისისათვის აქამდე უცნობი იყო. მისი აღმოჩენა ნათლად მიუთითებს IV საუკუნეში ქუთაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მის სტატუსზე,



როგორც ეგრისის სამეფოს პირველ ქალაქზე და რაც მთავარია კიდევ ერთხელ ადასტურებს ეგრისში ახ. წ. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ფაქტს (ლანჩავა, 2007, გვ. 112-113; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358; ლანჩავა, ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006, გვ. 27).

ფიქრობთ, ზემოთაღნიშნული ნათლად მეტყველებს, რომ ქუთაისი არა რიგითი ციხე-სიმაგრე, არამედ ეგრისის სამეფოს უმთავრესი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრია (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 31). იგივეს სავსებით დასაშვებად მიიჩნევს ო. ლანჩავა, რომელიც ვარაუდობს, რომ ახ. წ. IV საუკუნეში ქუთაისი შეიძლება წარმოვიდგინოთ სამეფო ქალაქად და საეპისკოპოსო ცენტრად, თუმცა მისი თქმით, ამას არ ადასტურებს წყაროებში მოხსენიებული საეპისკოპოსო ცენტრების ჩამონათვალი, რასაც ალბათ თავისი ახსნა უნდა პქონდეს (ლანჩავა, 2007, გვ. 113).

გ. მჭედლიძე შენიშნავს, რომ IV საუკუნეში ქუთაისში საეპისკოპოსოს არსებობის დამტკიცების ცდა საიმედო საქმე არ არის, რადგან ეპარქიის არსებობას არ შეიძლებოდა რაიმე კვალი არ დაეტოვებინა. ხოლო ასეთი რამ წერილობით წყაროებსა და გადმოცემებში არ დასტურდება. მკვლევარი ასევე ხასგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ლაზიკის მეზობელი ბერძნული ეპარქიები მაშინ ზღვისპირა ქალაქების ეკლესიებს აკონტროლებდნენ და აღმოსავლეთ რიონისპირეთში ნაკლებმოსალოდნელია მათ საეპისკოპოსოს დაარსება შეძლებოდათ. აქ მათ გავლენა გვიან მოიპოვეს და შესაბამისად, როდოპოლისის საეპისკოპოსო წერილობით წყაროებში VII საუკუნიდან მოიხსენიება. არც პროკოპი კესარიელი უჩვენებს ქუთაისში საეპისკოპოსოს ფუნქციონირებას (მჭედლიძე, 2008, გვ. 48-49).

აღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ პროკოპი კესარიელი არც როდოპოლისში უჩვენებს საეპისკოპოსოს ფუნქციონირებას და მსგავს ინფორმაციას არც ნოქალაქეკთან დაკავშირებით იძლევა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულიყო



ვარაუდები ნოქალაქეუში საეპისკოპოსოს არსებობასთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა, სხვადასხვა სახით ნოქალაქეუში საეპისკოპოსო თუ სამიტროპოლიტო ცენტრის არსებობა დაუშვეს ვ. ჯაფარიძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ნ. ლომოურმა, პ. ზაქარაიამ, თ. კაპანაძემ, ვ. გიოლაძემ (ჯაფარიძე, 2002, გვ. 95-98; ბერძენიშვილი, 1975, გვ. 517-518; ლომოური, 1987, გვ. 39-40; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 261; გიოლაძე, 1991, გვ. 121-122).

ნოქალაქეუთან მიმართებაში არსებული სხვადასხვა მოსაზრებები განიხილა დ. ლომიტაშვილმა. ნ. ლომოურის და ვ. ლექვინაძის ვარაუდის მიხედვით, რომლებმაც საეპისკოპოსო ცენტრის არარსებობა არქეოპოლისში იმით ახსნეს, რომ ეგრისის მეფეს არ სურდა გვერდით ყოლოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი (451 წლამდე ალბათ კესარიის ეპისკოპოსისადმი - ვ. გიოლაძის აზრით) და საზოგადოდ ბიზანტიისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი, რომელიც ჯაშუშის ან ზედამხედველის ფუნქციას შეასრულებდა, დ. ლომიტაშვილი ფიქრობს, რომ გაერთიანებული ეგრისის მეფეებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სურდათ და ბუნებრივია, ბიზანტიის მიტროპოლიტისაგან შორს ეჭირათ თავი. ბიზანტია-ეგრისის კონფრონტაციის დროს ფაზისის სამიტროპოლიტო ბერძენ ჯაშუშთა თავშესაფრად გადაიქცეოდა ხოლმე. მკვლევარი ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ V-VI საუკუნეებში იზრდება ეპისკოპოსების გავლენა და დროდადრო ოფიციალური ხელისუფლებაც ვეღარ აკონტროლებს მათ, რაც არ აწყობთ ეგრისის მეფეებს და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. შესაბამისად, ბუნებრივია ადმინისტრაციული და საეკლესიო ცენტრები სხვადასხვა ადგილას ყოფილიყვნენ. ე. ი. ფაქტიურად იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რაც V საუკუნის ქართლში ხდება, თუმცა გამომწვევი მიზეზები შესაძლოა სხვადასხვა იყოს (ლორთქიფანიძე, ლომიტაშვილი, 2000, გვ. 33; ლომიტაშვილი, 2003, გვ. 206-207).

ფიქრობთ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ IV-V



საუკუნეებში ეგრისის დედაქალაქი ქუთაისია, სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ნოქალაქევის მიმართ გამოთქმული მოსაზრებანი სწორედ ქუთაისს - მივუსადაგოთ. მით უმეტეს, რომ როგორც ამას დ. ლომიტაშვილი სამართლიანად შენიშნავს, თუნდაც სიმბოლური, ვასალური დამოკიდებულების მიუხედავად ეგრისის სამეფოს ცხადია, გარკვეული პრეტენზიები გააჩნდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 199-200), რისი მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა იდეოლოგიური დამოუკიდებლობის გარეშე.

წერილობითი წყაროებში სათანადო ინფორმაციის არქონა აძნელებს ამ საკითხის კვლევას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიურად დადასტურებული ინფორმაციის უგულვებელყოფა არ იქნება მიზაშეწონილი. ასეთ შემთხვევაში ასახსნელი რჩება ქუთაისის ტაძრის ეკლესიური დაქვემდებარების საკითხი. გ. მჭედლიძის მიხედვით, აღმოსავლეთ რიონისპირეთში ნაკლებმოსალოდნელია ლაზიკის მეზობელი ბერძნული ეპარქიების მიერ საეპისკოპოსოს დაარსება (მჭედლიძე, 2008, გვ. 48-49). შეიძლება დავუშვათ, რომ ქუთაისში არსებობს დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია. თუ გავიხსენებთ ა. ჯაფარიძის მითითებას ადრექრისტიანულ ხანაში მთელი ქვეყნის მომცველი ერთი ცენტრის მქონე ქრისტიანული ეკლესიის არარსებობის შესახებ (ჯაფარიძე, 1996, გვ. 133), მაშინ ეს ვარაუდი არცთუ უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ IV-V საუკუნეებში აღმოსავლეთ ეგრისში არ არსებობენ ქრისტიანული ორგანიზაციები, ხოლო თუ ისინი არიან რაიმე ფორმით, მაშინ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მათგანი სწორედ ქუთაისშია, სადაც აღმოჩენილია ამ მხარეში IV საუკუნის ჯერჯერობით ერთადერთი ტაძარი. მით უმეტეს, რომ ვარციხეში, რომელიც მოგვიანებით გვევლინება ამ რეგიონის საეპისკოპოსო ცენტრად, ქრისტიანობის გავრცელება არქეოლოგიური მასალების მიხედვით V საუკუნეში ივარაუდება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 101).

აქვე შევნიშნავთ, რომ ადრექრისტიანულ ხანაში ქუთაისის საეკლესიო ცენტრის შესახებ წერილობითი წყაროების დუმილის მიუხედავად, ვარაუდის სახით ამ მოსაზრების არსებობას საფუძველი ნამდვილად აქვს.

რაც შეეხება VI საუკუნეს, სწორედ ამ დროს კარგავს ქუთაისი ეგრისის "მთავარი ქალაქის" სტატუსს და ნოქალაქე-არქეოპოლისის დედაქალაქად დაწინაურება V საუკუნის 70-იანი წლებიდან ან შესაძლოა VI საუკუნის დასაწყისიდანაა სავარაუდებელი, რაც ჩვენი აზრით, არა იმდენად ბიზანტიის, არამედ ირანისა და მისი ეგიდის ქვეშ მყოფი ქართლის მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ბიზანტიის პოლიტიკის გააქტიურებაც ეგრისის მიმართ, ხომ ამ საერთაშორისო პროცესებით არის გამოწვეული. ვფიქრობთ, რომ V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასაწყისში კავკასიის რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სტრატეგიული მოსაზრებით სწორედ ნოქალაქევს ენიჭება უპირატესობა. ეს ჩანს თავად ბიზანტიელთა საომარი ტაქტიკიდან, რომლებიც თავიანთი და არა ლაზეთის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუცველად ტოვებენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს და იმაგრებენ პოზიციებს მდ. ცხენისწყლის დასავლეთით. აშკარაა, რომ ბიზანტიელთათვის ძირითად პრიორიტეტად ეგრისის დასავლეთი ნაწილის გამაგრება გახდა, რადგანაც ძალების შედარებითი სიმცირის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა მთელი ქვეყნის დაცვა. თანაც ბიზანტიელთა მთავარი მიზანი ამ ომის დროს იყო ზღვისპირა, ჩრდილოეთ შავიზღვიპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში გადაშავალი კომუნიკაციების დაცვის უზრუნველყოფა. ეგრის-ლაზეთის სამეფო, რომელსაც თავად არ შეეძლო დამოუკიდებლად ირანის წინააღმდეგ ომის წარმოება, იძულებული გახდა ბიზანტიელთა სამხედრო სტრატეგიის და ტაქტიკის მიხედვით ემოქმედა. ასეთ ვითარებაში ეგრისის პოლიტიკური ინტერესები რა თქმა უნდა დაიჩრდილებოდა და საერთაშორისო მდგომარეობას დაექვემდებარებოდა (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 108). ვვარაუდობთ,

რომ აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის ნოქალაქეში გადატანა.

VI საუკუნეში ეგრის-ლაზეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი- "მთავარი ქალაქი," ნოქალაქე-არქეოპოლისია (Procop. De BG, VIII, 13), რომელიც ლაზიკაში ბიზანტიელთა მიზნების განხორციელებისათვის მეტად ხელსაყრელ პუნქტად იყო მიჩნეული (გოზალიშვილი, 1972, გვ. 219).

სწორედ ნოქალაქევი, რომელიც მთისწინა ზოლში მდებარეობდა, თავისი კარგად განვითარებული თავდაცვის სისტემით ონოგურისიდან ვიდრე ნესოსამდე (ტეხურ-რიონის შესართავი), იქნა არჩეული ბიზანტიელთა და ლაზთა სამხედრო ოპერაციების საყრდენ ციხე-სიმაგრედ და არა ქვეყნის ცენტრში მდებარე ქუთაისი. თუმცა ო. ლანჩავა აღნიშნავს, რომ ქუთაისი რჩება მოხირისის მხარის ცენტრად (ლანჩავა, 1996, გვ. 223; ლანჩავა, 2007, გვ. 182).

საინტერესოა, რომ VI საუკუნეში მიმდინარე ომიანობის დროს ქუთაისში საქალაქო ცხოვრება მნიშვნელოვნად შეფერხდა, მაგრამ საომარი ოპერაციების შეწყვეტის შემდეგ მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. თუმცა, როგორც ო. ლანჩავა შენიშნავს, VI საუკუნის II ნახევარში თუ რამე კეთდება ქუთაისის მიწა-წყალზე, იგი ძირითადად დამპყრობთა ინტერესებს შეესაბამება. მაგალითად, ბიზანტიელთა ინტერესების გათვალისწინებით უნდა იყოს აგებული შიდა ქალაქის ტერიტორიაზე დარბაზული ეკლესია (ლანჩავა, 2007, გვ. 128-129).

აბანოსუბნის დარბაზული ეკლესია - ქუთაისის ნაქალაქარზე, კერძოდ შიდაქალაქის სამხრეთ ნაწილში, ე. წ. აბანოს უბანში აღმოჩნდა ორნავიანი (ორნაწილიანი) შვერილაფსიდიანი დარბაზული ტიპის ეკლესია (ტაბ. III, სურ. 1, 2), რომელმაც ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. მიუხედავად ამისა შესაძლებელი გახდა მისი გეგმის აღდგენა (ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 357). ასევე მოხერხდა ეკლესიის განახლება-გადაკეთების კვალის დადგენაც. გაირკვა,



რომ თავიდან ის მცირე ზომის ერთნავეიანი დარბაზული სტილის ნაგებობა იყო (ტაბ. II, სურ. 3), რომელსაც მოგვიანებით მეორე ნაგი მიაშენეს. ეკლესიის ორივე ნაწილს შეერილი აფსიდები აქვს. მისი იატაკი დანგრეული იყო (ლანჩავა, 2007, გვ. 129).

ეკლესიის მთავარი ნაგი კვადრატული ფორმისაა, რომლისგანაც მხრებით გამოყოფილია ნალისებური აფსიდი. ეკლესიის სიგრძე აფსიდამდე 4,5 მეტრია, ხოლო აფსიდიანად 7,20 მეტრი. მას 1,70 მ. სიგანის შესასვლელი დასავლეთის მხრიდან ჰქონდა. სამხრეთიდან იყო კიდევ ერთი კარი, რომელიც მეორე ნაგეში გადიოდა და რომელიც უკეთ შემონახა. ფიქრობენ, რომ ის სამკვეთლოს წარმოადგენდა. მისი კედლების სიმაღლე 1,50 მეტრს აღწევს. ისინი ამოყვანილია დაბალ საძირკველზე რიყის ქვისა და კირქვის მონაცვლეობით ჭარბხრეშიან დუღაბზე. ეკლესიის მშენებლობაში სხვადასხვა ჯიშის და ზომის ქვებია გამოყენებული და სამშენებლო ტექნიკაც შერეულია. გამოყენებული იყო აგურიც, ხოლო დუღაბში შეურევიათ კერამიკის ფხენილიც. ნათელია, რომ მშენებლობისას გამოყენებულია ძველი კედლების ნაშალი. ეკლესია გადახურული ყოფილა კრამიტით, რომელიც აღმოჩნდა კიდევ ნგრევის ფენაში. ეს ნაგებობა სავარაუდოდ შედის მცირე ეკლესიათა რიცხვში და მისი ფუნქციონირების თარიღს VI-VII საუკუნეებით განსაზღვრავენ. ამას ამტკიცებს შიგნაპოვნი ბიზანტიური მონეტა (VI ს.) და იმ პერიოდის კერამიკული მასალა (ლანჩავა, 2007, გვ. 129; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 357).

ამიერკავკასიისთვის ირან-ბიზანტიის მეტოქეობა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულდა. სწორედ ბიზანტიას ჩაუვარდა ხელში ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობა და ეგრისი ქართლსა და სომხეთთან ერთად მისი პოლიტიკური და კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ VII საუკუნის 60-იანი წლებამდე ჩვენ არაფერი ვიცით ეგრისის შესახებ, ამ პერიოდის



ბიზანტიური წყაროების მიხედვით ნათელია, რომ ეგრისში მეფობა გაუქმებულია და მას ბიზანტიელთა დანიშნული პატრიკოსები მართავენ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 328-329; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 90).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა VII საუკუნეში და VIII საუკუნის 30-იან წლებამდე ეგრისის პოლიტიკური ცენტრის საკითხი. დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ნოქალაქევი VIII საუკუნეში მურვან-ყრუს დაშქრობამდე რჩება ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 5; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 378; ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 45). ეგრისის პატრიკოსთა ერთ-ერთი რეზიდენცია ყოფილა ასევე "ჯიხა-ხორაში" მოქვის მახლობლად (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 361). ვარაუდობენ ეგრისის მმართველთა სამყოფ ადგილად ანაკოფიის ციხესაც (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 51).

VII საუკუნიდან იწყება ქუთაისის ხელახალი აღორძინება, როგორც დასავლურ-ქართული პოლიტიკური ცენტრისა. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყნის ყველაზე მძლავრი სამეურნეო რაიონის, მოხირისის ბუნებრივი ცენტრის, ქუთაისის შემდგომი დაწინაურება და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევა გარდაუვალი იყო (მუსხელიშვილი 2004, 379-380).

ფიქრობთ, რომ შესაძლოა ეგრისის მმართველთა რეზიდენცია ამ დროს ქუთაისში იყო. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის თეოდორე განგრელის "მოგონებებში" მაქსიმე აღმსარებლის შესახებ, დაცულია 662 წლის ცნობა მაქსიმე აღმსარებლის ორი მოწაფის, ანასტასი აპოკრისიარის და ანასტასი ბერის "მუკორისისში" მიყვანისა და აქედან მათი "თაკირიის" და "სვანიდის" ციხეებში გაგზავნის თაობაზე (თეოდოსი განგრელი, "გეორგიკა" IV, I, გვ. 41-45. შენიშვნა 3, 4, 5). დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ მუკორისისი პროკოპი კესარიელის მოხირისია (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 361). თუ გავისხენებთ მოხირის-ქუთაისის იგივეობას, არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ აქ ზის VII საუკუნეში ეგრისის პატრიკოსი (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 109). შესაბამისად, ქვეყნის მთავარი ქალაქიც კვლავ ქუთაისია.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ VII საუკუნის 20-იანი

წლებიდან ქუთაისი ციხე-გოჯთან ერთად ფიგურირებს როგორც ფაქტიურად მეორე ქალაქი. მკვლევარის ვარაუდით, ჰერაკლე კეისრის ღაშქრობათა შედეგად განხორციელდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება ქართლის ერისმთავრების იურისდიქციის ქვეშ, რომლებიც ციხე-გოჯთან ერთად ქუთაისსაც უქმნიან სატახტო ქალაქის სტატუსს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 106). გ. გაბუნიაც მიუთითებს, რომ ქუთაისი ქართლის ერისმთავართა დასავლური რეზიდენციაა (გაბუნია, 1996, გვ. 252).

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი სექტორის (არგვეთი და რაჭა-ლეჩხუმი) ქართლის ერისმთავარზე პოლიტიკურ დამოკიდებულებას VII საუკუნის 60-იან წლებში არ გამორიცხავს გ. მჭედლიძე, რომელსაც ასევე შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს მხარე ეკლესიურადაც მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში აღმოჩენილიყო (მჭედლიძე, 2008, გვ. 84).

დ. მუსხელიშვილს და მ. ლორთქიფანიძესაც შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ VI-VII საუკუნეთა მიჯნიდან მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში დასავლეთ საქართველოს შემდეგი ტერიტორიები შემოდიოდა: ვაკე იმერეთი, არგვეთი და რაჭა-ლეჩხუმი (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 114; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 380-381).

მიგვაჩნია, რომ VII საუკუნეში, როდესაც ბიზანტია იმორჩილებს ქართლს და მათი ღაშქრობების ძირითადი ბაზა ეგრისია, ქართლის ერისმთავრებისთვის დასავლეთ საქართველოს დაქვემდებარება ბიზანტიელთა მიერ ძნელი წარმოსადგენია. დ. მუსხელიშვილიც შენიშნავს, რომ ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიაზე საუბარი ამ დროს ზედმეტია. ეგრისს ბიზანტიელთა დანიშნული პატრიკიოსები მართავენ VII საუკუნის ბოლომდე, ვიდრე სერგი ბარნუკის-ძემ ქვეყანა არაბებს არ დაუმორჩილა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 359-363, 378).

გაცილებით უფრო რეალურია, რომ სწორედ არაბებმა შეუწყვეს ხელი თავისი ქვეშევრდომი ქართლის ერისმთავრების ხელისუფლების გავრცელებას ეგრისზე VIII საუკუნის დასაწყისში (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 47).



ბიზანტია ვერ ელეოდა ეგრისში სტრატეგიული პლაცდარმის დაკარგვას და ცდილობდა თავისი ლაშქრობებით ალანების მოსყიდვით ეგრის-აფხაზეთის საკუთარი კონტროლის ქვეშ დაბრუნებას (მუსხელიშვილი 2004, 364). ვფიქრობთ, რომ სწორედ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ავრცელებენ ქართლის ერისმთავრების ხელისუფლებას ეგრისში არაბები, ხოლო ქართლის ერისმთავრები თავიანთ რეზიდენციად ქუთაისს ირჩევენ.

ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქუთაისი და ციხე-გოჯი დიდად მნიშვნელოვანი ჩანან, მაგრამ "ხოსროიანები უპირატესობას მაინც ქუთაისს ანიჭებენ" (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 527)

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქართლის ერისმთავრები ცდილობენ ქუთაისი გვერდით ამოუყენონ ციხე-გოჯს და უპირატესობა ქუთაისს მისცენ (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 48). დ. მუსხელიშვილი ამ ფაქტს იბერია-ეგრისის არგვეთის დაუფლებისათვის პოლიტიკური მეტოქეობით ხსნის და მიუთითებს, რომ ტენდენცია ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის გადატანისა VIII საუკუნის 40-იანი წლებიდან არსებობდა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 378-379).

საერთოდ თვლიან, რომ ქუთაისის სატახტო ქალაქად აღიარების პროცესი თითქმის საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა და სტეფანოზის ნეშთის ქუთაისში გადმოსვენება-დაკრძალვამდე გაიჭიმა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 106; ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 52).

საინტერესოა, რომ ნოქალაქევის ბოლო წლების არქეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით გაჩნდა მოსაზრება, რომ ნოქალაქე-ციხე-გოჯი VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე კარგავს თავის მნიშვნელობას როგორც ქვეყნის დედაქალაქი. დ. ლომიტაშვილი არქეოპოლისის არქეოლოგიური მასალების შესწავლამ მიიყვანა შემდეგ დასკვნებამდე: I ნოქალაქარზე გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლები ძირითადად IV-VI საუკუნეებით თარიღდება და არ



ჩანს მომდევნო ეპოქის სამშენებლო ფენები; 2. ნოქალაქეში და მის მიდამოებში საერთოდ წყდება VI საუკუნის შემდგომი დროით დათარიღებული ნუმიზმატიკური მონაპოვარი; 3. ნაქალაქარზე არ დასტურდება არაბთა ექსპანსიასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მტკიცებულებები; 4. III-VI საუკუნეებით თარიღდება ნოქალაქეცა და მის შემოგარენში არსებული ყველა ბერძნულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი; 5. VI საუკუნის შემდგომ ბიზანტიურ წყაროებში საერთოდ არ არის მოხსენიებული არქეოპოლისი. შესაბამისად, VII საუკუნიდან ნოქალაქევი აღარ არის ეგრისის დედაქალაქი (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 50-51). ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ ვ. ლექვინაძე თეოფილაქტე სიმოკატტას ცნობაზე დაყრდნობით ადრეც ვარაუდობდა VI საუკუნის 80-იან წლებში „მომთაბარე თურქთა“ მიერ ნოქალაქევის დანგრევას (ლექვინაძე, 1987, გვ. 246).

უფიქრობთ, რომ VII საუკუნის დასაწყისიდან უკვე იწყება ქუთაისის ხელახალი დაწინაურება ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისიდან იგი ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია ხდება. ქართულ წყაროებში ქუთაისის ციხე-გოჯთან ერთად მოხსენიება შეიძლება აღვიქვათ როგორც მცდელობა ეგრისზე პოლიტიკური უფლებების იდეოლოგიური გამართლებისა გარკვეული მემკვიდრეობითობის ხაზგასმით. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავრები პრეტენზიას მარტო ქართიზე უღერებენ, ეთნიკურ ეგრისზეც აცხადებდნენ და მათი დამოკიდებულება ციხე-გოჯის მიმართ ამ მიზეზით იყო განპირობებული (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 52).

საინტერესოა, რომ გავრცელებული მოსაზრების თანახმად ქუთაისის გადდედაქალაქებაში დიდი წვლილი ეგრისის ქართიზე უღერებულ მოსახლეობას მიუძღვის. სწორედ VIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის ადასტურებენ მომავალი იმერეთის ეთნოგრაფიულ-პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას, რაც დასაფლეთ საქართველოში აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტის დაკვიდრების ერთ-ერთი ეტაპია (მუსხელიშვილი,



2004, გვ. 377). ქუთაისი ამ ქართველებული მოსახლეობის ცენტრად ითვლება (ლანჩავა, 1996, გვ. 192), რომლებიც თავის მხრივ ქართლის ერისმთავართა დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ქუთაისი სწორედ ამ მოსახლეობის შუაგულში აღმოჩნდა თავისი ძველი ქართული ტრადიციებითა და კულტურით (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 107).

ამასთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანია მოსაზრება დასავლეთ საქართველოში ქართული ქრისტიანული კულტურის V-VI საუკუნეებში გავრცელების შესახებ. დ. მუსხელიშვილს და მ. ლორთქიფანიძეს ასევე შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ VI-VII საუკუნეთა მიჯნიდან ვაკე იმერეთში, არგვეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ქართული ენა და მწიგნობრობა იყო გავრცელებული და ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულად სრულდებოდა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 114; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 380-381).

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ითვლება, რომ ქუთაისი აღდგა როგორც არა ეგრისის, არამედ ქართლის პოლიტიკური ცენტრი და ზოგადქართული ქრისტიანული კულტურის მძლავრი ფორპოსტი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 380; ლანჩავა, 1996, გვ. 192; ლანჩავა, 2007, გვ. 152; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 107). სწორედ აქ იქმნიან ქართლის ერისმთავრები თავიანთ რეზიდენციას, აარსებენ საგვარეულო საძვალეს, ფლავენ სამეფო საგანძურს და ხელახლა ამკვიდრებენ დედაქალაქობის ტრადიციას (ჭუმბურიძე, 2008 გვ. 109). როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, არჩილის მიერ ქუთაისში მამის დაკრძალვა, ესე იგი საკუთარი საფლავის შემზადება უკვე იმას ნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავართა სახლი სატახტოდ ქუთაისს მიიჩნევს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 103).

დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ ატენის სიონის წარწერაში "ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი" სტეფანოზი მირის და არჩილის მამა და "ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული სტეფანოზია, რომელიც მირის ანდერძის მიხედვით ქუთაისში უნდა დაიკრძალოს. "მამაცა



ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა.....წარსცენ ძუაღნი მისნი და დაჰვლენ საყდარსა ქუთათისსა" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 241). მკვლევარი ასევე შენიშნავს, რომ შეიძლება ცნობა არ იყოს რეალური, მაგრამ მთავარია, რომ სტეფანოზის საფლავი ხდება სიმბოლო ქართლის მმართველთა ახალი რეზიდენციისა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 368, 379).

"ქუთათისის საყდარი" – ბაგრატის ტაძრის ინტერიერში, IV საუკუნის ბაზილიკის ადგილზე (რომელიც სავარაუდოდ VI საუკუნის შუახანებში ირანელთა მიერ არის დანგრეული), ქუთათისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კიდევ ერთი დიდი ბაზილიკური ტაძარი აღმოაჩინა, რომელიც VII საუკუნით დათარიღდა (ტაბ. 3). ესაა დიდი ზომის ნაგებობა, რომელიც მოცულობით ცოტად თუ ჩამოუვარდება ბაგრატის ტაძარს (ლანჩავა, 2007, გვ. 150-151; ლანჩავა, ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006, გვ. 28; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358).

"ქუთათისის საყდარი" დიდი და მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა ჩანს, რომელიც ხელუხლებელი უნდა დახვედროდა VIII საუკუნის 30-იან წლებში შემოსულ არაბთა ლაშქარს მურვან-ყრუს სარდლობით. მთლიანად გაითხარა მისი დასავლეთის, სამხრეთისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთის კედლები. საინტერესოა, რომ ამ ტაძრის კედლები ძირითადად გადადიან IV საუკუნის ტაძრის კედლებზე. მას შესასვლელი დასავლეთის და სამხრეთის (მინაშენში გასავლელი) მხარეს ჰქონდა, რასაც ადასტურებს საკარე დიობები. მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან უნდა ყოფილიყო. ასევე დასავლეთიდან ჰქონდა მას სხვადასხვა დროის ჯერჯერობით გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე მინაშენი. ტაძრის სიგრძე 30 მეტრია, სიგანე 15 მეტრი. კედლების სიგანე 1,40 მეტრია. მისი პერანგი (ფასადი) აგებულია ზედაპირდამუშავებული (დაკეჭნილი) ქვის კვადრებით, ხოლო შუაგული ამოვსებულია დუღაბითა და ნამტვრევი ქვებით. ზოგან გამოყენებულია დიდი ზომის აგურები (კედლების გასასწორებლად). დუღაბის ანალიზისას გაირკვა, რომ მასში (კირხსნარში) გამოყენებულია მდ. რიონის სილა, რის გამოც

მას ტყვიისფერი აქვს (ლანჩავა, 2007, გვ. 151).

აღნიშნული ტაძრის აფსიდები და აფსიდის წინა სვეტები გამოყენებულია X-XI საუკუნეთა მიჯნაზე ბაგრატის ტაძრის აგებისას. ნაგებობა თითქმის მთლიანად არის გასწორებული ბაგრატის მშენებლობისას. დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლეზე დაუტოვებით მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ნაწილი, რომელიც ბაგრატის ტაძარშია ჩართული. ნაგებობის დასავლეთი და ჩრდილოეთი კედელი ცოკოლის გარეშეა. მხოლოდ სამხრეთის კედლის ნაწილს აქვს ერთსაფეხურიანი ცოკოლი. "ქუთათისის საყდრის" იატაკი კირხსნარისა და სხვადასხვა ფერის ხრეშისაგან შექმნილ მოზაიკას წარმოადგენს და მდიდრულ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძრის ნგრევის ფენაში აღმოჩნდა VII-VIII საუკუნეების სხვა არქეოლოგიური მასალაც (ძირითადად კრამიტი და აგური). მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია ანტიფიქსი ასომთავრული ქარაგმული წარწერით, რომელიც იკითხება "გაბრიელი" და ზოგადად დათარიღებულია V-VII საუკუნეებით. თ. ლანჩავა ფიქრობს, რომ ის ტაძრის დროინდელია (ლანჩავა, 2007, გვ. 151). ანალოგიური ფორმის ანტიფიქსი ასევე ქართული წარწერით, აღმოჩენილია გუდაუთის რაიონში VIII-IX საუკუნეებით (ტაბ. IV, სურ. 2) დათარიღებულ მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარში (The Cultural Heritage of GEORGIA, 2008).

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ "ქუთათისის საყდარი" VII საუკუნეშია აგებული, ხოლო მისი დაზიანება VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბების ლაშქრობების დროს არის მომხდარი. თუმცა ის მაღევე (VIII ს. 40-იანი წლები) აღუდგენიათ, როგორც ფიქრობენ, მეფე არჩილის ბრძანებით. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ქუთაისში მნიშვნელოვანი სამშენებლო საქმიანობა (ლანჩავა, 2007, გვ. 151). აგრეთვე ივარაუდება ტაძრის გადაკეთება ლეონ II-ის მიერ VIII საუკუნის 70-იან წლებში (ლანჩავა, ისაკაძე, ქარციძე, 2009, გვ. 17). რ. ისაკაძე მიუთითებს, რომ ამ დროს არის გაფართოებული ინტერიერი, რომელსაც სამ ნავად ყოფდა ჯვრის ფორმის



სვეტები. სამხრეთის მკლავში სანათლაღია მოწყობილი დასავლეთიდან გაჩნდა ნართექსი. ნალისებური აბსიდები გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი (ისაკაძე, 2009, გვ. 39-40). არ გამოირიცხება ამ დროიდან ქუთაისში საეპისკოპოსო რეზიდენციის არსებობა, რისი ერთ-ერთი დასტური უნდა იყოს წყაროებში დადასტურებული სახელი – "ქუთათისის საყდარი". საინტერესოა, რომ პირველი ქართული არქიტექტურული ლექსიკონის ავტორისა და ცნობილი ხუროთმოძღვარის თ. კვიციანიას განმარტებით, რომელიც თავის მხრივ ივ. ჯავახიშვილს ეყრდნობა, "საყდარი" ადრე ეწოდებოდა საეპისკოპოსო ტაძარს (კვიციანია, 2007, გვ. 252).

ვფიქრობთ, რომ მემატრიანეს მიერ "ქუთათისის საყდრის" მოხსენიება, უპირველეს ყოვლისა, მისი არსებობის მაჩვენებელია, რაც დაადასტურა კიდევ ტაძრის არქეოლოგიურმა კვლევამ. აღვნიშნავთ, რომ დ. მუსხელიშვილის და მ. ლორთქიფანიძის მოსაზრება დასავლეთ საქართველოს ნაწილის მცხეთის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარებასთან დაკავშირებით რეალურად გვესახება თუ VII საუკუნეში არა VIII საუკუნის დასაწყისიდან მაინც. ქართლის ერისმთავრის საფლავის გაჩენა ბიზანტიური ეკლესიისადმი დაქვემდებარებულ ტაძარში ნამდვილად წარმოუდგენლად მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავთ VIII საუკუნის დასაწყისიდან ქუთაისში პოლიტიკურთან ერთად ქართული საეკლესიო ცენტრის არსებობასაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ანტეფიქსი ქართული წარწერით "გაბრიელი". თუ გავიხსენებთ ბაგრატის ტაძრის მიდამოებში 1995 წელს აღმოჩენილ ანტეფიქსის ფრაგმენტს მასზე დაცული X-XI საუკუნეების წარწერით "ანტონი", რომელიც ტაძრის ერთ-ერთ ქტიტორად მიჩნეული ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ანტონია (სილოგავა, 1995, გვ. 62-64), რატომ არ შეიძლება დაეუშვათ ფრთხილი ვარაუდის სახით, რომ "გაბრიელი" VII-VIII საუკუნეებში მოღვაწე სასულიერო პირია, რომელსაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვის "ქუთათისის საყდარის" მშენებლობაში ან აღდგენა-



გადაკეთებაში. საფიქრებელია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ცენტრში მშენებარე საყდარი რიგით ტაძარს არ წარმოადგენდა და შესაბამისად, მისი ქტიტორიც სათანადო სტატუსის მქონე სასულიერო პირი იქნებოდა. ჩვენი აზრით, ქუთაისში საეკლესიო ცენტრის არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატის ტაძრის ინტერიერში 2003 წელს ნაპოვნი და 2009 წელს ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გახსნილი №50 სამარხი, რომელშიც ქრისტიანული ეპოქის სამარხებისათვის უჩვეულო მდიდრული ინვენტარი აღმოჩნდა. ახალგაზრდა ქალის სამარხი VIII საუკუნის ბაზილიკის ნართექსშია განლაგებული და მისი ქრონოლოგიური ზღვარი VIII საუკუნის ბოლოთი განისაზღვრა (ლანჩავა, ისაკაძე, ქარციძე, 2009, გვ. 17). აღმოჩენილი მასალების კვლევა გრძელდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამარხი მდიდრულია და აფხაზთა სამეფოს პერიოდს მიეკუთვნება, არ გამოირიცხება, რომ ის სამეფო ოჯახის წევრის ან ნათესავის იყოს. თუ ეს მოსაზრება დადასტურდა, მაშინ ხელთ გვექნება კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ქუთაისი ამ ეპოქის საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა და სტეფანოზის დაკრძალვით დაწყებული ტრადიცია ქუთაისში მეფეთა საძვალის დაფუძნებისა შემდეგაც გრძელდება. ეს შეიძლება იყოს ასევე ირიბი დადასტურება იმისა, რომ ქუთათელ მღვდელმთავრებს ადრიდანვე (VIII ს.) ჰქონდათ მინიჭებული პატივი მეფეთა "მაკურთხებელისა" და "მოსაფლავისა".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში ივარაუდება ადრექრისტიანული ხანის სხვა ეკლესიების არსებობაც. რ. ისაკაძე ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ქუთაისის ნაქალაქარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერაც გაუთხრელია, რაც ზრდის ამ ტიპის ძეგლების მატების ალბათობას (რ. ისაკაძე, 2009, გვ. 39). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილ ქუთაისის გეგმაზე ასახულია 16 ეკლესია (8 მდ. რიონის მარჯვენა, ხოლო 8 – მარცხენა სანაპიროზე). რ. ისაკაძის ვარაუდით, მათ შორის



უნდა იყოს "დავით და კონსტანტინეს ცხოვრების" მიხედვით მურვან-ყრუს მიერ ნაწამები ძმების მდ. რიონში ჩაყრის ადგილზე, კლდის თავზე აღმართული კოშკი და დამიანეს სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია დღევანდელი წითელი ხიდის ზემოთ, მიახლოებით ყაზბეგისა და დავით და კონსტანტინეს ქუჩების გასაყართან მდებარეობდა და ან თანამედროვე დასახლებით უნდა იყოს დაფარული, ანდა შეეწირა XIX საუკუნის 60-იან წლებში ლეჩხუმის გზის გაყვანას (ისაკაძე, 2009, გვ. 39-40).

"დავით და კონსტანტინეს ცხოვრება" ჩვენთვის სხვა მხრივაც საინტერესო წყაროა. გ. მჭედლიძეს მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები თანადროულ პირობებში შექმნილ რელიგიურ ვითარებას ასახავდნენ და ისინი იმიტომ იწერებოდნენ, რომ "იმთავითვე თითოეული ეკლესია ცდილობდა დანარჩენი ეკლესიების მრევლისათვის შეეტყობინებინა, თუ რამ საყურადღებო მარტვილობა მოხდებოდა მის სამრევლოში" (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 47; მჭედლიძე, 2008, გვ. 3). შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავით და კონსტანტინეს მარტვილობის დროს (VIII ს. 30-იანი წლები) დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში შემოდის და მისი იურისდიქცია ქუთაისზეც ვრცელდება. ის ფაქტი, რომ ქართული წყაროები არ გვაწვდიან სათანადო ინფორმაციას, სამწუხაროდ, ზოგჯერ შეუძლებელს ხდის ვარაუდებისა და მოსაზრებების დადასტურებას. მაგრამ ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ მ. ლორთქიფანიძის შენიშვნას, რომ იგივე ქართულ წყაროებში მურვან-ყრუს ლაშქრობისას ეგრისის ქალაქთა შორის ქუთაისი არ მოიხსენიება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქუთაისი ამ დროს არ არსებობდა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 100).

ქუთაისში საეპისკოპოსოს შექმნასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მაგალითად, მ. ლორთქიფანიძე ამ ფაქტს ლეონ აფხაზთა პირველ მეფეს (ან რომელიმე სხვა მეფეს) უკავშირებს და შენიშნავს, რომ



ქუთაისის დედაქალაქობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თითქოს დასაშვებს ხდის ასეთ ვარაუდს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 116-117).

ო. ლანჩავას ეკუთვნის მოსაზრება, რომ VIII საუკუნის ბოლოს საეპისკოპოსო კათედრა ვარდციხიდან ქუთაისში იქნა გადმოტანილი (ლანჩავა, 1996, გვ. 215). ამ ფაქტს აფხაზთა მეფე დემეტრე II-ეს მიაწერს პ. ინგოროყვა (ინგოროყვა, 1954, გვ. 249). თუმცა არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსება ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 526). ქუთაისისა და მისი შემოგარენის ეპიგრაფიკული მასალების საფუძველზე იმავეს ვარაუდობს ვ. სილოგავა (სილოგავა, 1990, გვ. 95). ბაგრატ III-ის მიერ საეპისკოპო კათედრის როდოპოლისიდან ქუთაისში "მონაცვლეობას" დაბეჯითებით ამტკიცებს ვ. მჭედლიძე, რომელიც ამ მოვლენის თარიღად X საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარს ასახელებს (მჭედლიძე, 2008, გვ. 78). XI საუკუნის "მატიანე ქართლისაის" ავტორზე დაყრდნობით, რომელიც მოგვითხრობს ბაგრატ მეფის მიერ ქუთაისის ტაძრის აგებისა და კურთხევის შესახებ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 241), იგივეს ვარაუდობს ბ. კუდავა. მკვლევარი ამ ცნობას სამკვარი ინტერპრეტაციით განიხილავს: I – ქუთაისში, როგორც სამეფოს დიდ ხნის დედაქალაქში, ადრე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა; II – ტაძრის კურთხევის გრანდიოზული აქტის გამო მემატიანეს "გამორჩა" საეპისკოპოსოს კურთხევა, ან მისი ხაზგასმა საჭიროდ არ მიიჩნია; III – საეპისკოპოსო კათედრა ქუთაისში გვიან დაარსდა და ამიტომ ეს ფაქტი უბრალოდ ვერ აღინიშნა. საინტერესოა, რომ ბ. კუდავამ უფრო მისაღებად მეორე ვარაუდი მიიჩნია და ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი X-XI საუკუნეთა მიჯნით განსაზღვრა (კუდავა, 2002, გვ. 68).

აღსანიშნავია, რომ "მატიანე ქართლისაის" ავტორის დუმილზე ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ მ. ლორთქიფანიძეც მიუთითებს, მაგრამ ეს ფაქტი მას აძლევს საშუალებას იმისა, რომ საეპისკოპოსოს დაარსება აფხაზთა

მეფეებს დაუკავშიროს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 116).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ "მატიანე ქართლისაის" ავტორის დუმილი ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსებაზე არ მტყვევლებს იმაზე, რომ მას ეს ფაქტი გამორჩა ან მისი ხაზგასმა საჭიროდ არ მიიჩნია ბაგრატის ტაძრის კურთხევის გრანდიოზულობის გამო. ანონიმი ავტორის ამოცანა ბაგრატ მეფის მოღვაწეობის განდიდებაა და არა გვეონია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც ახალი, თანაც დიდი პატივით აღჭურვილი საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნებაა, ან გამორჩენოდა ან ყურადსადებ ფაქტად არ ჩაეთვალა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მსგავსი ამბები არ გამორჩენია მემატიანეს მოქვის და ბედიის კათედრებთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 270, 281), რაღა ქუთაისი იქნებოდა გამონაკლისი. ის ხომ VIII საუკუნის დასაწყისიდან ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია და შემდეგ აფხაზ მეფეთა სამკვიდროა. იმ აფხაზ მეფეთა, რომლებიც თანმიმდევრულად იბრძვიან ამ ახალი ქართული სამეფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური დამოუკიდებლობისათვის და მათი წარმატება, როგორც ნ. ბერძენიშვილი და მ. ლორთქიფანიძე შენიშნავენ, განაპირობა აფხაზთა მეფეების და მცხეთის ტახტის მიზნების გაერთიანებამ (ბერძენიშვილი, 1966, გვ. 49-53; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 115-116). ნ. ბერძენიშვილის ხატოვანი თქმით "ქართული სახელმწიფო აფხაზეთი იშვა ქუთაისით სათავეში," რომელმაც თამამად დაიჭირა პოლიტიკური ცენტრის ადგილი (ბერძენიშვილი 1975, გვ. 527, 589). ამიერიდან, როგორც აღნიშნა გ. გაბუნია, ქუთაისმა საბოლოოდ დაიბრუნა პირველობა დასავლურქართულ სამყაროში (გაბუნია, 1996, გვ. 252). ქუთაისის სტატუსი გაფართოვდა და შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი მდგომარეობა (ლანჩავა, 1996, გვ. 224; ლანჩავა 2007, გვ. 152, 182).



1. ქართლში ქრისტიანობის შემოსვლისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხი სადღეისოდ ძირითადად გარკვეულია და დადგენილია, რომ ეს მოხდა IV საუკუნის 20-იან წლებში. დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით კი ვითარება სხვაგვარად იყო, რადგანაც წერილობითი წყაროების სიმცირისა და მათი ცნობების განსხვავებულობის გამო დიდი ხნის მანძილზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელების თარიღებზე.

ქართული წყაროების ეგრისის და რომაულ-ბიზანტიური წყაროების ლაზიკის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელების და მისი სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების, ასევე საეკლესიო ცენტრების, ზოგადად ქრისტიანული კულტურისა და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხთა გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მოძიებულ მასალებს, რომელთა მეშვეობით გამოვლინდა: IV საუკუნიდან თანდათან გავრცელებული ქრისტიანული დაკრძალვის წესი (წებელდის სამაროვანი), ქრისტიანული ნიშნების მქონე სამარხეული ინვენტარი (ოქროს ჯვარი, ვერცხლის მედალიონი...) და ქრისტიანული წარწერები (ბიჭვინთის მოზაიკაზე). არქეოლოგიური კვლევებით მოპოვებულ არტეფაქტებს შორის გამოირჩევა საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები (ბიჭვინთის, ციხისძირის, ვაშნარის, გუდავის, ქუთაისის, ნოქალაქევისა და მისი ქვეყნის). მათი კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, აფხაზეთიდან აჭარამდე და შავი ზღვის სანაპიროდან ქუთაისის რეგიონამდე, ქრისტიანობა მთლიანადაა გავრცელებული. აგრეთვე ივარაუდება ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაციების არსებობა.

2. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების თანახმად IV-VIII საუკუნეებში ეგრისის დედაქალაქი ნოქალაქე-არქეოპოლისი იყო. თუმცა მკვლევართა საფუძვლიან ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, რომ ნოქალაქევის „გრანდიოზული



თავდაცვითი ნაგებობანი“ არ შეესაბამებოდა საქალაქო ცხოვრების ინტენსივობას. შესაბამისად, გაჩნდა ვარაუდი, რომ ნოქალაქევის დედაქალაქობა არადამაჯარებლად და დასაბუთებული და ძირითადი აქცენტი გაკეთდა მის თავდაცვით ფუნქციაზე.

ქუთაისის არქეოლოგიურმა კვლევამ წარმოაჩინა ამ ქალაქის აღმავლობა და დაწინაურება IV-V საუკუნეებში: ქალაქი მდებარეობს ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რეგიონში – მოხირისში; დგას ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებისა და მაგისტრალების გზაჯვარედინზე; აქვს დედაქალაქობის უძველესი ტრადიცია; გააჩნია შთამბეჭდავი საფორტიფიკაციო სისტემა; აგებულია უხენავს ხელისუფალთა რეზიდენცია (ციხე-დარბაზი); არსებობს IV-V საუკუნეების ყველაზე დიდი და მასშტაბური ტაძარი; მოპოვებულია ქალაქში ეკონომიკური პროცესების განვითარების ინტენსივობის დამადასტურებელი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას, რომ ქუთაისი წარმოვიდგინოთ ეგრისის ეკონომიკურ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად IV-V საუკუნეებში.

3. ასევე ვფიქრობთ, რომ რელიგიური ცენტრი შესაძლოა არსებობდა ქუთაისში. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საკულტო ნაგებობები ადასტურებენ, რომ ქრისტიანობა IV-V საუკუნეებში მტკიცედაა დამკვიდრებული აღმოსავლეთ ეგრისში. ქუთაისის შიდა-ციხეში აღმოჩნდა IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა-“სამლოცველო სახლი“ და V-VI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული სამნავიანი ბაზილიკა. 2005 წელს ბაგრატის ტაძრის ინტერიერში იატაკქვეშ დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის დიდი სამნავიანი ბაზილიკა. ასეთი მასშტაბების ტაძარი შიდა ეგრისისათვის აქამდე უცნობი იყო. მისი აღმოჩენა ნათლად მიუთითებს IV საუკუნეში ქუთაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მის სტატუსზე, როგორც ეგრისის სამეფოს



პირველ ქალაქზე და რაც მთავარია ადასტურებს ეგრისში
 წ. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად
 დამკვიდრების ფაქტს. ნათელი გახდა, რომ ქუთაისი არა რიგითი
 ციხე-სიმაგრე, არამედ ეგრისის სამეფოს უმთავრესი რელიგიური
 და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრია.

4. ნოქალაქე-არქეოპოლისი ეგრის-ლაზიკის "მთავარ
 ქალაქად" უნდა დაწინაურებულიყო V საუკუნის ბოლოს ან
 VI საუკუნეში. ვფიქრობთ, რომ ამ დროს კავკასიის რეგიონში
 შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე
 სტრატეგიული მოსაზრებით სწორედ ნოქალაქეს ენიჭება
 უპირატესობა. ეს ჩანს თავად ბიზანტიელთა საომარი
 ტაქტიკიდან, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე,
 დაუცველად ტოვებენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს და
 იმაგრებენ პოზიციებს მდ. ცხენისწყლის დასავლეთით. აშკარაა,
 რომ ბიზანტიელთათვის ძირითად პრიორიტეტად ეგრისის
 დასავლეთი ნაწილის გამაგრება გახდა. VI საუკუნეში ეგრის-
 ლაზეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი - "მთავარი
 ქალაქი," ნოქალაქე-არქეოპოლისია. ეგრის-ლაზეთის სამეფო,
 რომელსაც თავად არ შეეძლო დამოუკიდებლად ირანის
 წინააღმდეგ ომის წარმოება, იძულებული გახდა ბიზანტიელთა
 სამხედრო სტრატეგიის და ტაქტიკის მიხედვით ემოქმედა.
 ასეთ ვითარებაში ეგრისის პოლიტიკური ინტერესები რა თქმა
 უნდა დაიჩრდილებოდა.

5. VII საუკუნიდან იწყება ქუთაისის ხელახალი აღორძინება,
 როგორც დასავლურ-ქართული პოლიტიკური ცენტრისა.
 ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ეგრისის მმართველთა რეზიდენცია
 ამ დროს ქუთაისში იყო. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის
 თეოდორე განგრელის "მოგონებებში" დაცულია 662 წლის ცნობა
 მაქსიმე აღმსარებლის ორი მოწაფის, ანასტასი აპოკრისიარის
 და ანასტასი ბერის "მუკორისისში" მიყვანისა თაობაზე. თუ
 გავიხსენებთ მოხირის-ქუთაისის იგივეობას, არ გამოვრიცხავთ,
 რომ აქ ზის VII საუკუნეში ეგრისის პატრიკოსი და ქვეყნის
 მთავარი ქალაქი კვლავ ქუთაისია.

6. VII-IX საუკუნეებით დათარიღებულ ბიზანტიურ



საეკლესიო ნოტიციებში კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო ეპარქიებში დასახელებულია ლაზიკის ეპარქია-ფასისის სამიტროპოლიტო, რომელსაც თავის მხრივ ემორჩილება ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისი (ვარდციხე), პეტრა (ციხისძირი), საისინი (ცაიში), ზიგანევი (გუდავა).

7. ახ. წ. VIII საუკუნიდან ქუთაისი კვლავ დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქია. ის ამ დროისათვის ქართლის ერისმთავართა იურისდიქციაში შევიდა, რომლებიც თანდათან უქმნიან ქუთაისს სატახტო ქალაქის სტატუსს. ისინი აქ ინახავენ სამეფო საგანძურს და იქმნიან საძვალეს-მეფის საფლავს. ქუთაისი ხდება ქართული ეროვნული კულტურის და ქრისტიანული რელიგიის ცენტრი. VIII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან კი ქუთაისი მთელი დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის, ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქია.

ABOUT THE HISTORY OF CHRISTIANITY IN THE WEST GEORGIA

SUMMARY

1. Georgia is an ancient Christian country. According to the written records and material cultural monuments, in East Georgia Christianity was spread in the beginning of the IV century. For a long time there existed two different ideas about the time of spreading Christianity in West Georgia. According to the first opinion, which is based on Bizantian historical documents, in the kingdom of Egrisi Christianity was announced as a state religion in the second decade of the VI century. According to the second opinion, this event took place in the beginning of the IV century.

The archaeological research of West Georgia displayed some material cultural monuments of Christian symbols and earthenware, Christian inscriptions on Bichvinta mosaic, Christian temples in Bichvinta, Nokalakevi, Tsikhisdziri and so on.

2. Based on the approach, which is assumed in Georgian historiography, in the IV-VIII centuries, Nokalakevi-Archaeopolis was the capital of Egrisi. However, scholars were seriously concerned with the fact that Nokalakevi's "magnificent defense facilities" did not match the intensity of urban life. Hence, it was supposed that Nokalakevi's being a capital was not sufficiently proved, and the main accent fell on its defensive function.

The archaeological research of Kutaisi has demonstrated the advance of the city in the IV-V centuries: the city is situated in the country's principal economic region – Mokhrisi; it stands at the junction of international and local roads; it has the ancient tradition of being a capital; it has an impressive fortification system; it has a residence of supreme authorities; there is a huge church of the IV-V centuries; numerous and diverse archaeological data exist to attest to the intensity of the development of economic processes in the city. The above-said allows to assume Kutaisi as an economic, political and administrative center of Egrisi in the IV-V centuries.



3. I also believe that the religious center may have been situated in Kutaisi. The cult facilities, discovered as a result of archaeological excavations in the township of Kutaisi, confirm that, in the IV-V centuries, Christianity had firm grounds in eastern Egrisi. A big, rectangular facility -- "a praying house" of the earlier part of the IV century and a three-nave basilica of the turn of the V-VI centuries were discovered in the inner fortress of Kutaisi. A large, three-nave basilica of the 4th century, not familiar to Egrisi before, was detected under the floor of Bagrat's Cathedral in 2005. Its occurrence indicates to Kutaisi's particular significance and status, as that of the primary city of Egrisi. It is clear that Kutaisi was the principal religious and administrative center of Egrisi.

4. Nokalakevi-Archaeopolis should have become a principal city of Egrisi-Lazica in either the late V century or in the VI century. I think that, judging from the political situation in the Caucasus, Nokalakevi was given priority for strategic reasons.. The Kingdom of Egrisi-Lazica, being unable to conduct war against Iran on its own, was obliged to act according to Byzantines' military strategy and tactic. In such circumstances, Egrisi's political interests should certainly have been shadowed.

5. The 7th century saw the beginning of the reconstruction of Kutaisi as that of the western Georgian political center. "Memoirs" by the Byzantine clergy Theodore of Gangra tells that, in 662, Anastasy Apocrysis and Monk Anastasy, the two disciples of St. Maximus the Confessor, were brought to "Murokisis." Remembering the identity of Mokhris-Kutaisi, it can not be ruled out that, in the 7th century, it was a seat of the Patrikios of Egrisi, and the principal city of the country was still Kutaisi.

6. Among the church eparchies subordinated to the Patriarch of Constantinople, the 7th-9th centuries Byzantine church notitions name the Eparchy of Lazica and four bishoprics: Rhodopolis (Vardtsikhe), Petra (Tsikhisdziri ?), Saisini (Tsaishi ?), Ziganevi (Gudava).

7. Since the 8th century AD, Kutaisi had been the principal city. For that time, it came under the jurisdiction of Kartli's princes. Here they kept royal treasure, organize royal cemetery, and conferred Kutaisi a status of a capital. Kutaisi became a center of Georgian national culture and religious. Beginning the 730-740s, Kutaisi became a capital of the Kingdom of Egrisi-Abkhazia.

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. გამომცემლობა "ხელოვნება." თბილისი 1971.
2. აფაქიძე ა., ღორთქიფანიძე ოთ. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე", 1965, №3. გვ. 104-127.
3. აფაქიძე ა. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. დიდი პიტიუნტი, I. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1975. გვ. 13-126.
4. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი 1966.
5. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი 1975.
6. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. II გამოცემა. გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი 1990.
7. ბერძენიშვილი ნ. და სხვები. საქართველოს ისტორია, I. გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი 1958.
8. ბერძენიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1969.
9. გაბუნია გ. ასე იწყებოდა დიდი საქართველო. ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება "სტამბის" საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი 1996.
10. გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 1998.
11. გამყრელიძე გ. კოლხეთი. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. გამომცემლობა "ლოგოსი." თბილისი 2002.
12. გამყრელიძე გ., თოდუა თ. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბილისის საუნივერსიტეტო გამომცემა. თბილისი 2006.
13. გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბილისი 1991.
14. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1952.
15. გოზალიშვილი გ. ნოქალაქევი (არქეოპოლისი) ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში. მსე, 1972, XVI-XVII. გვ. 214-227.
16. გორგაძე ს. წერილები საქართველოს ისტორიიდან. ძველი საქართველო. ტ. II. თბილისი 1911-13.
17. ვრიგოლია გ. ევრის-ლაზიკის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბილისი 1994.

18. დიდი პიტიუნტი-არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. თბილისი 1977.
19. დიასამიძე ბ. ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში. ბათუმი 1999.
20. დიასამიძე ბ. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. ბათუმი 2001.
21. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ. ჭაჭვინჯისა და გუდავის 1968-1969 წწ. ექსპედიციის წინასწარი ანგარიში. სსმაე, 1971, II. გვ. 96-102.
22. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ. გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. სსმაე, 1974, III. გვ. 139-147.
23. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბილისი 1991.
24. თოდუა თ. ახ. წ. IV-V სს. ეგრისის ზღვისპირა ქალაქების განვითარების საკითხისათვის. მაცნე, ისტორიის. . ., სურია, 1988, №4. გვ. 90-96.
25. თოდუა თ., მურვანიძე ბ. რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური სოფ. მოედნიდან. გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II. თბილისი 1997. გვ. 108-111.
26. თოდუა თ. რომაული სამყარო და კოლხეთი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2003.
27. თოდუა თ. ვაშნარის სასიმაგრო სისტემა. გურია, V. (მხარის კვლევა-ძიების შედეგები). საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი. თბილისი 2007. გვ. 68-76.
28. ინაიშვილი ა. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. სდსძ, II. თბილისი 1971. გვ. 74-90.
29. ინაიშვილი ა. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. სდსძ, II. თბილისი 1971. გვ. 91-108.
30. ინაიშვილი ა. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. სდსძ, IV. თბილისი 1974. გვ. 102-153.
31. ინაიშვილი ნ. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. სდსძ, XVII. თბილისი 1988. გვ. 76-85.
32. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1993.
33. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. თბილისი 1954.
34. ისაკაძე რ. ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები. ქუთაისური საუბრები XII. სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და მასალები. ქუთაისი 2009. გვ. 38-40.



35. კახიძე ე. რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-IV სს. საკანდ. დისერტ. ავტორეფერატი. თბილისი 2002.
36. კახიძე ე. ბიზანტია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი კონსტანტინე დიდის მმართველობიდან იუსტინიანე I ხანამდე. კრებული, ძველი ისტორია, II. თბილისი 2002b. გვ. 112-134.
37. კეკელიძე კ. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბილისი 1935.
38. კეკელიძე კ. იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან. ეტიუდები. თბილისი 1955.
39. კეკელიძე კ. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში. ეტიუდები, IV. თბილისი 1957.
40. კვიციანი თ. რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი 2007.
41. კვიციანი ზ. განათლება და დამწერლობა რომაული ხანის დასავლეთ საქართველოში. არქეოლოგიური კრებული, I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1994. გვ. 82-110.
42. კუდავა ბ. დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-X სს.). ისტორიის შეცნობა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით). თბილისი 2002.
43. ლანჩავა ო. ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი 1996.
44. ლანჩავა ო., ჭუმბურიძე მ., ისაკაძე რ., ქარციძე ნ. ახალი აღმოჩენები ქუთაისში. უფრნალი ახალი ხიდი, №4. თბილისი 2006. გვ. 23-28.
45. ლანჩავა ო. ქუთაისის ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი. ქუთაისი 1996.
46. ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ქუთაისი 2007.
47. ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ქარციძე ნ. ქალის მდიდრული სამარხი "ქუთათისის საყდრიდან". ქსიმე, XIX. ქუთაისი 2009. გვ. 17-20.
48. ლეთოდიანი დ. ძიებანი. გამომცემლობა "არტანუჯი." თბილისი 2003.
49. ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII-ახ. წ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). სადოქტორო დისერტაცია. თბილისი 2003.
50. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1968.
51. ლომოური ნ. დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V



საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო." თბილისი 1973. გვ. 159-188.

52. ლომოური ნ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. კრებული ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I. თბილისი 1981.

53. ლომოური ნ. ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. კრებული, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, II, გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი 1987. გვ. 17-47.

54. ლომოური ნ. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა V საუკუნეში. გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი 1989.

55. ლორთქიფანიძე ოთ. ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა. სმგმ, I. თბილისი 1962.

56. ლორთქიფანიძე მ. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი. კრებული, ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი-ქუთაისი 1994. გვ. 89-117.

57. ლორთქიფანიძე მ. ქუთაისის აღორძინება დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად (VII-VII სს.). ქუმ, 4. ქუთაისი 1995. გვ. 45-54.

58. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი 1991.

59. ლორთქიფანიძე გ., ჩიქოვანი ნ. ქართული კულტურია ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1997.

60. ლორთქიფანიძე ბ., ლომიტაშვილი დ. ვგრისის ეკლესიის ისტორიიდან. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, ტ. IX. თბილისი 2000. თსუ გამომცემლობა. გვ. 28-34.

61. ლეჭინაძე ვლ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV- XI საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მასალა. კრებული, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, II. გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი 1987.

62. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობა უძველესი დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 2002.

63. მამულაძე შ., კახიძე ა., ხალვაში მ. რომაელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, X თბილისი 2001. გვ. 163-177.

64. მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I. თბილისი 1978.

65. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I. გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი 1977.



66. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II. გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი 1980.
67. მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი 2004.
68. მჭედლიძე გ. ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა). ქუთაისი. 2008.
69. სადრაძე ვ. ვაშნარი-სპონიეთი-გურიანთა. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 2003.
70. სვანიძე მ. ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის. ნარკვევები, IV. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი 1998. გვ. 21-30.
71. სილოგავა ვ. ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები. "მაცნე", ისტორიის ... სერია, №4. თბილისი 1990.
72. სილოგავა ვ. ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან. ქუმ, 4. ქუთაისი 1995.
73. სიჭინავა ვ. ახალი ცნობები (ციხისძირი) პეტრას ისტორიისათვის. ასმშ, II. ბათუმი 1957.
74. სიხარულიძე ი. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. 1962.
75. სულეიმანოვი მ. პეტრა (ციხისძირი). ასმშ, II. ბათუმი 1957.
76. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. თბილისი 1984.
77. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი 1955.
78. ციციშვილი ი. ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. "დიდი პიტიუნტი", II. თბილისი 1977.
79. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. თბილისი 1946.
80. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. I. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1961.
81. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. II. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1965.
82. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. III. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1936.
83. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. IV, I. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1941.
84. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. IV, II. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1952.
85. ყაუხჩიშვილი ს. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან.



გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1948.

86. ყაუხჩიშვილი ს. რას მოგვიტორობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო." თბილისი 1964.

87. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის დამკვიდრების საკითხისათვის. კულტურის ისტორიის საკითხები, VII. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 1999. გვ. 29-32.

88. ჭუმბურიძე მ, ისაკაძე რ., ქარციძე ნ., არქეოლოგიური მასალები ეგრისში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VII (II). ქუთაისი 2005. გვ. 353-361.

89. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის ახ. წ. IV-VIII საუკუნეებში. ქუთაისის საერო ინსტიტუტ "გელათის" I საერთ. სამეცნ. კონფ. მასალები. ქუთაისი 2008. გვ. 107-109.

90. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. I-VIII სს.). "ლამპარის" საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი 2009.

91. ჯაბუა ნ. აღრეული შუა საუკუნეების ბაზილიკები გურიის ტერიტორიაზე. გურია, V (მხარის კვლევა-ძიების შედეგები). საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი. თბილისი 2007. გვ. 77-85.

92. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წ. I. თბილისი 1960.

93. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII. თბილისი 1977.

94. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი 1979.

95. ჯანაშია ს. შრომები, ტ. I. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1949.

96. ჯანაშია ს. შრომები, ტ. II. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1952.

97. ჯაფარიძე ა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I. თბილისი 1996.

98. ჯაფარიძე ვ. ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის. ფსაძე, II. გამომცემლობა "მეცნიერება." 1974. გვ. 84-104.

99. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ ვარციხის მშენებლობის ზონაში. ძმ, 1975, № 39. გვ. 30-34.



100. ჯაფარიძე ვ. ძველი ვარდციხე ("ვარდიგორა"). ძმ, 1977, №46, გვ. 43-50

101. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი. გამომცემლობა "მეცნიერება." თბილისი 1989.

102. ჯაფარიძე ვ. ეგრისის მატერიალური კულტურა ახ. წ. I-VII საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 1999.

103. ჯაფარიძე ვ. პროკოპი კესარიელის ნაშრომში ("ნაგებობათა შესახებ") მოხსენებული ღაზიკის ძველი ეკლესიის ღოკალიზაციის საკითხისათვის. ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია. (მოხსენებათა შინაარსები) თბილისი 2002. გვ. 95-98.

104. ხოშტარია ნ. ციხისძირი (ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში). თბილისი 1962.

105. Амиранашвили Ш. История Грузинского искусства. Москва 1963.

106. Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. Москва 1964.

107. Воронов Ю. Н. Диоскуриада-Севастополис-Цхум. изд. "Наука." Москва 1980.

108. Леквинадзе В. А. Материалы по монументальному строительству в Лазике. სსშმ, 1961, XXII-B.

109. Леквинадзе В. А. Оборонительные сооружения Севастополиса. СА, 1966, №1. стр. 203-210.

110. Леквинадзе В. А. Понтийский Лимес. ВДИ, 1969, №2, стр. 75-93.

111. Леквинадзе В. А. Вашнари. СА, №3. 1972. стр. 301-322.

112. Леквинадзе В. А. О постройках Юстиняна в западной Грузии. ВВ, 1973, т. XXXIV. стр. 171-173.

113. Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. И., Массовые археологические находки из раскопок Археополиса. კრებული ნოქალაქევ-არქეოპოლისი, I. გამომცემლობა "მეცნიერება" თბილისი 1981.

114. Ломоури Н. Ю. К выяснению некоторых сведений "Notitia Dignitatum" и вопрос о так называемом понтийском лимесе. ВВ, 1987, т. 46. стр. 59-73.

115. Ломоури Н. Археополис-Цихегоджи-Нокалакеви. ნოქალაქევ-არქეოპოლისი, ტ. III. თბილისი 1993.

116. Меликишвили Г. Т. К истории древней Грузии. Тбилиси 1959.

117. Шервашидзе Л. А., Соловьёв Л. Н. Исследование древнего Севастополиса. СА, 1960, №3. стр. 171-180.

118. Трапш М. М. Археологические раскопки в Анакопии в 1957-1958 гг. ВВ, 1961. т. XIX. 1961.



119. Dobois de Montpereaux Fr. Voyage autour du Caucase, I. Paris 1839

120. The Cultural Heritage of GEORGIA. Georgian Arts and Culture Center.

Tbilisi 2008.

შემოკლებათა განმარტება


- ასმშ - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები.
- მსე - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
- სსმავ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.
- სდსძ - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები.
- სსმშ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
- სმგშ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე.
- ფსად - ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები.
- ქუმ - ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე.
- ქსიმშ - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები.
- ძმ - ძეგლის მეგობარი.
- ВВ - Византийский Временник.
- ВДИ - Вестник Древней Истории.
- СА - Советская Археология.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბულა I. "ციტადელის სამაფსიდიანი ბაზილიკა". V-VI საუკუნეები.
- ტაბულა II. "აბანოსუბნის დარბაზული ეკლესია". VI-VII საუკუნეები.
- ტაბულა III. "დიდი ბაზილიკა" - "ქუთათისის საყდარი".
- ტაბულა IV. სურ. 1. ანტეფიქსი - IV საუკუნე.
სურ.2 ანტეფიქსი - VII საუკუნე.



"ციტადელის სამაფსიდიანი ბაზილიკა".
V-VI საუკუნეები.




1 2 3 4 5 6

ს.ს. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.



"აბანოსუბნის დარბაზული ეკლესია". VI-VII საუკუნეები


სურ. 1.




სურ. 3.




სურ. 2.




"დიდი ბაზილიკა" - "ქუთათისის საყდარი".



სურ. 2. ანტეფიქსი - VII საუკუნე.



სურ. 1. ანტეფიქსი - IV საუკუნე.



76

637



ქართული
ანტიკობების
სამეცნიერო ცენტრი

VI კონგრესი

შინაარსი

წინათქმა	3
საკითხის ისტორიოგრაფია	5
ქრისტიანობის დამკვიდრების საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში	11
დასავლეთ საქართველოს რელიგიური ცენტრების საკითხისათვის	20
ქუთაისი - ეგრისის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი	43
დასკვნა	70
დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა:	76
შემოკლებათა განმარტება	83
ტაბულების აღწერილობა	83
ტაბულები	84



K (272.953
34235320
3067070333